www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 18 ივნისი, 2012 წელი. | №3041 (134) | ფასი 50 თეთრი

„ქართული ოცნების" კვალი პოლიციელის მოსყიდვაში

ლაშა კურტანიძე

ზაზა ჭელიძე

პოლიციელის მოსყიდვა - ამ ბრალდებით დააკავეს სამართალდამცველებმა ზაზა ჭელიძე, რომელმაც დანაშაული აღიარა. საუბარია კასპის რაიონის იგოეთის განყოფილების ოპერატიული თანამშრომლის, ლაშა კურტანიძის მოსყიდვაზე. თავად კურტანიძე იძებნება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, სამართალდამცველებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლაშა კურტანიძეს კოლეგების ფარული ჩაწერა დაევალა.

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის ინფორმაციით, მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, შეხვედრების სიმულირება განხორციელდა, რის შედეგადაც ჩანაწერების მოპოვებისა და გადაცემის ფაქტი დადასტურდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"არტგენის" ცხელი ივლისი

ია ვეკუა

სწორედ მაშინ, როდესაც თბილისი ყველაზე მეტად დუღს და ყველა ქალაქგარეთ დასვენებაზე ფიქრობს, ფესტივალი "არტგენი" მუშაობას იწყებს. წელს საფესტივალო დღეები თითქმის მთელი ივლისის განმავლობაში გაგრძელდება - სტარტს 3 ივლისს, კახეთიდან აიღებს, 29 ივლისს კი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დასრულდება.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

საბერძნეთი: არჩევნების გადამწყვეტი რაუნდი

ხათუნა გაბიევი

საბერძნეთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის დღეს გულგრილად არც ევროპა ელოდა. ბერძნულ ელექტორატს თავისი არჩევნით განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში ქვეყნის მომავალი და განვითარების მიმართულებები უნდა გადაეწყვიტა. საერთო ეროვნულ კენჭისყრაში 21 პარტია მონაწილეობდა, მაგრამ ანალიტიკოსები მათგან წარმატებას თავიდანვე ცოტას თუ უწინასწარმეტყველებდნენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

პირველი ტესტი წავაგეთ

კახა ფაჩუაშვილი

მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა პირველი ჩრდილოამერიკული ტესტი ჩაატარა და გლენდეილში, "ინფინიტი პარკზე", აშშ-ის ნაკრებთან დამარცხდა.

იმაზე საუბარი, რომ ქართველი მორაგბეები აშშ-ში უძლიერესი შემადგენლობით არ ჩასულან, დამშვიდების საბაბს ვერ იძლევა. დიდი ხანია მივეჩვიეთ, რომ ბორჯღალოსნები ჩრდილოამერიკულ ტურნეში შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობენ. ასე იყო "ჩერჩილის თასზეც" და ასე მოხდა ამჯერადაც.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6368	↓
1 ევრო	2.0583	↓
1 ინგლისური გირვანქა	2.5411	↓
1 თურქული ლირა	0.8987	↓
100 რუსული რუბლი	5.0245	↓

თბილისი	32°C - 21°C
ქუთაისი	30°C - 21°C
თელავი	33°C - 17°C
ზუგდიდი	28°C - 19°C
ბათუმი	26°C - 20°C

ნავთობი	2.64	+0.02	+0.62%
გაზი	2.51	+0.01	+0.56%
ოქრო	1,623.00	+3.40	+0.21%
ხორბალი	623.50	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

გაიტანეთ ეს ჰოლანდია

ალექსანდრე ასათიანი

გერმანია დანიასთან აკადემიურად დაიღალა. იცოდა, რომ არ წააგებდა და ვერ ხვდებოდა, როგორ უნდა წაეგო. ჰოლანდია პორტუგალიასთან ვერ დაიღალა. უნდოდა, რომ ოდნავ აზრზე მოსული ფეხბურთით აზრზე მოსულიყო და ვერ მოვიდა. ეს გერმანია თამაშობს, გღლის და გიგებს. ეს ჰოლანდია თამაშობს, იღლება და ვერ გღლის. უმნიშვნელო სხვაობა მნიშვნელოვანი ბოლო აკორდით. გერმანიამ დანიასთან 2:1 დასვა. პორტუგალიამ იგივე ანგარიშით ჰოლანდიასთან გარჩევა დახურა.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

ვან დერ ვაარტის გოლი ლამაზი და უსარგებლო იყო

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის" და „Weekend"-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებზე „საქართველოს ფოსტის" პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

პრეზიდენტი ფოთს ეწვია

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ საპორტო ქალაქში ჩავიდა. მოსახლეობასთან შეხვედრა პორტის დასახლებაში გაიმართა. პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა წყლის მომარაგების მოწესრიგების, გზებისა და საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურის, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამისა და ელექტრომომარაგების საკითხებზე. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, 2015 წლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით 24-საათიანი წყალმომარაგება იქნება.

"ფოთი დგას წყალზე და როგორ მოხდა, რომ ვერც ერთმა მთავრობამ წყალი ვერ მიიყვანა სახლებამდე. ჩვენ ახლა სწორედ ამის გაკეთება გვიწევს. რაც შეეხება გაზიფიკაციას, 2011 წლამდე ფოთში ბუნებრივი აირის მიწოდების თემა საერთოდ არ არსებობდა. შემდეგ დავიწყეთ ამერიკელების პროგრამის განხორციელება, რაც მათ პირადად ვთხოვე და აქ მაღალი წნევის გაზსადენი ავაშენეთ. ასე რომ, ფოთში გაზი შემოსულია, ახლა მთავარი პრობლემაა, როგორ შევიყვანოთ ის ოჯახებში,» - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მოსახლეობას ბუნებრივი აირის საცხოვრებელ სახლებამდე მიყვანისთვის განვადების შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

ამასთან, სააკაშვილმა ეზოების კეთილმოწყობისა და სახურავების გადახურვის პროგრამებზეც ისაუბრა და თქვა, რომ სახურავების 90 პროცენტი შესაკეთებელია, რის გამოც აქამდე გათვალისწინებული 3 მილიონამდე ლარის ოდენობის დაფინანსება კიდევ მილიონნახევრით გაიზრდება.

ფოთში მოსახლეობასთან შეხვედრისას პრეზიდენტმა დაპირებებიც გასცა. სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო ვადაში ყველა დევნილს საკუთარ ბინას დაჰპირდა. პრეზიდენტის განცხადებით, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კორპუსების აშენება გაგრძელდება. მისივე თქმით, ბოლო რამდენიმე თვეში დევნილებისთვის საქართველოში 30 ათასამდე ბინა აშენდა და კიდევ ორჯერ მეტი აშენდება.

დიმიტრი შაშკინი რუს ექსპერტს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი რუს ექსპერტსა და მწერალს ლარისა ბურაკოვას შეხვდა. ბურაკოვა ავტორია წიგნისა "რატომ გამოუვიდა საქართველოს", რომელიც ორი წლის წინ გამოიცა. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, წიგნი საქართველოში გატარებულ რეფორმებს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და იმ წარმატებებს აღწერს, რასაც საქართველომ მოკლე დროში მიაღწია.

ლარისა ბურაკოვა წიგნისთვის საქართველოში დამატებით ინფორმაციას აგროვებს, შემდეგ ის უკრაინაში დაიბეჭდება და უკრაინულად ითარგმნება. წიგნის ავტორი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებითა და ცვლილებებით დაინტერესედა.

მინისტრთან ინტერვიუს დროს საუბარი სკოლის მანდატურის სამსახურის შემოღების აუცილებლობასა და ამ სამსახურის შემდეგ სკოლის უსაფრთხოების კუთხით მიღწეულ წარმატებებს, ერთიან ეროვნულ და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებსა და გამოცდების ახალ მოდელზე გადასვლას, სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებას, სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების ვაუჩერულ დაფინანსებას, მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებს, სკოლების ინტერნეტიზაციასა და კომპიუტერებით აღჭურვას შეეხო.

წიგნის ავტორი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებისა და საქართველოში ინგლისურენოვანი პედაგოგების ჩამოყვანის პროგრამებითაც დაინტერესდა.

"ახლები" ხელისუფლებას მიმართავენ

"ახალი მემარჯვენეები" 2011 წლის 11 ოქტომბერს გორში, ყიფიანის 33 ნომერში, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქებული საცხოვრებელი კორპუსის შეკეთებას ითხოვენ. როგორც "ახალი მემარჯვენეების" შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იოსებ ბორცვაძე აცხადებს, შემთხვევის შედეგად განსაკუთრებით დაზიანდა კორპუსის მეორე და მესამე სართულები. ამასთან, კორპუსის რეაბილიტაციისთვის ტენდერი დიდი ხანია, გამოცხადდა და გორის მუნიციპალიტეტმა თანხაც გამოყო სარეზერვო ფონდიდან - 163,500 ლარი. ბორცვაძის თქმით, ამ დრომდე სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა.

თურმე სჯობდა გურულების ჭკუაზე სიარული

მაგდა ლეკიაშვილი

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რიგით მესამე შეხვედრა ბიძინა ივანიშვილმა გურიაში, ოზურგეთში გამართა. უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები კოალიცია "ქართული ოცნების" წევრებმა გუშინ დილიდანვე მიიღეს. სცენა აქციის მონაწილეებისგან ტყვიაგაუმტარი შუშით იყო გამოყოფილი.

ივანიშვილი, როგორც მან თავად განაცხადა, გურიაში მასპინძლის როლში იყო. გასული აქციებისგან განსხვავებით, მან ტრიბუნა სხვებსაც დაუთმო. აქციაზე მისულებს თავდაპირველად ბიძინა ივანიშვილმა მიმართა და სიტყვა მალევე გადასცა საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს - "ქართული ხმების" წევრ თამაზ ჭკუასელს, ნოდარ დუმბაძის შვილ ქეთი დუმბაძესა და რეჟისორ ქეთი დოლიძეს.

ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2004 წელს, როცა მთელი საქართველო ეიფორიაში იყო, მათ შორის - თავადაც, სააკაშვილმა გურიაში ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა.

"თქვენს ჭკუაზე რომ გვევლო, ასეთ უბედურ დღეში არ ჩავცვივდებოდით. დღეიდან თქვენც ჩემი თანამებრძოლები ხართ, მეამბოხეები ხართ და პირველები იყავით თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამიტომ თქვენი განსაკუთრებული იმედი მაქვს იმ გეგმებში, რაც ოქტომბრისთვის დავისახე," - ამბობს ბიძინა ივანიშვილი. ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ მას ქართველები განვლილი ცხოვრების გამო უჭერენ მხარს და არც ერთ მათგანს არა აქვს ბიზნესმენის ფინანსური რესურსებისადმი ინტერესი. მისი თქმით, მისთვის საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერას ხელისუფლება ანგარებას აბრალებს და ამით საკუთარ ამომრჩეველს შეურაცხყოფას აყენებს.

"ქართული ოცნების" ლიდერმა წარსული გაიხსენა და აღნიშნა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ყველას ჰქონდა სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების იმედი. თუმცა, მისი თქმით, ხელისუფლების უგუნურება იქამდე მივიდა, რომ ქართულ სახელმწიფოს სერიოზული საფრთხე შეექმნა. სწორედ ამ საფრთხის გაანალიზების შემდეგ გადაწყვიტა ივანიშილმა ბიზნესიდან პოლიტიკაში გადანაცვლება. ამ ნაბიჯის გადადგმამდე კი, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი იფიქრა, არსებული პრობლემები გააანალიზა, მათი გადაჭრის გზებზე იმუშავა და წინასაარჩევნო კამპანიაც დაიწყო.

"ჩვენ ვაჩვენებთ მთელ მსოფლიოს, რომ კანონიერი გზით, არჩევნებით გავისტუმრებთ ამ თავგასულ და ახირებულ ხელისუფლებას. აკვიატება და ახირებაა, აბა, სხვა რა შეიძლება უწოდო ლაზიკის პროექტს, რომელსაც სააკაშვილი სთავაზობს ჩვენს საზოგადოებას," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც ისიც აინტერესებს, რა თანხით აპირებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალი ქალაქის მშენებლობას ან როგორ შეიძლება ჭაობზე ლაზიკას გაშენება. ივანიშვილს ეს ყველაფერი სიცრუედ მიაჩნია და ქვეყნის პირველი პირის მიერ გაჟღერებული დაპირებებისა არ სჯერა.

ხელისუფლების კრიტიკის შემდეგ "ქართული ოცნების" ლიდერმა თავისი კოალიციის წინასაარჩევნო გეგმებზეც ისაუბრა. კოალიციამ პრიორიტეტებად სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და განათლების სფერო უკვე დაასახელა. მისი თქმით, "ქართულ ოცნებას" დაგეგმილი აქვს, ქართული სოფელი ააღორძინოს და ამისთვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობას მოხმარდება.

დაბოლოს, ბიზნესმენი დარწმუნებულია, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ჯანდაცვაა. კოალიციის ლიდერი საზოგადოებას ჰპირდება, რომ ოქტომბერში, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, პირველ რიგში, ადამიანს მიხედავს. ივანიშვილის თქმით, ოქტომბრის შემდეგ თითოეული მოქალაქის, უკლებლივ ყველას ჯანმრთელობაზე სახელმწიფო იზრუნებს.

"ამ ბოლო დღეებში სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მილიონობით ჯარიმა დამაკისრა. ეს სააკაშვილის უბადრუკი ოინებია! ვიცი, რომ საზოგადოება ღელავს ამის გამო, ხალხი შეშფოთებულია. მაგრამ, ნუ შეგეშინდებათ, მე ამით ვერ შემაჩერებენ, ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ! რადგან ერთად ვართ, ჩვენ ვერავინ გვაჯობებს. არაფერი გამოუვათ, მე ვერ შემაჩერებენ! გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას," - ასე დაასრულა სიტყვით გამოსვლა ბიძინა ივანიშვილმა, რის შემდეგაც გურიის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა: კოალიციის სახელით ოზურგეთში კენჭს იყრის ზვიად კვაჭანტირაძე - საგანგებო და დიპლომატიური რანგის მქონე ერთადერთი ოზურგეთელი, ლანჩხუთში - ლანჩხუთის "გურიის" ყოფილი ფეხბურთელი თემურ ჩხეიძე, ხოლო ჩოხატაურში - ანსამბლ "ქართული ხმების" წევრი თემურ ჭკუასელი.

შეხვედრის ბოლოს კი კოალიციის ლიდერმა მომდევნო აქციის თარიღად პირველი ივლისი, ადგილად კი მცხეთა-მთიანეთი დაასახელა.

დაფინანსება დაცული ტერიტორიებისათვის

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი 190 000 ლარს მიიღებს

ნინო ნარჩემაშვილი

კავკასიის ბუნების ფონდი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს 190 000 ლარით დააფინანსებს. ხელშეკრულებას გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შონვაძემ და «კავკასიის ბუნების ფონდის" (CNF) აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა ხელი უკვე მოაწერეს.

ხელშეკრულების მიხედვით, კავკასიის ბუნების ფონდი ეროვნული პარკის ერთი წლის განმავლობაში მხარდასაჭერად 190 ათას ლარს გამოყოფს. ფონდი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან უკვე სამი წელია უშუალოდ თანამშრომლობს. 2009 წლიდან დღემდე 700 ათასი ლარის დაფინანსება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოვლასა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაზე დაიხარჯა, მათ შორის, ვიზიტორთა ცენტრის განახლებაზე. მემორანდუმის თანახმად, ფონდი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ფინანსურ მხარდაჭერას კიდევ ერთი წლის განმავლობაში განაგრძობს. თანხა ეროვნული პარკის მოვლასა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას მოხმარდება.

მსოფლიო ტურიზმის ასოციაციამ კი საქართველოს ახალი ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად 500 ათასი ევროს მოცულობის გრანტი გამოუყო. გრანტი ლაგოდეხის, ვაშლოვანის, მტირალასა და კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ახალი ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად არის განკუთვნილი. პროექტის ბიუჯეტი გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროების მიერ ფინანსდება.

თანამშრომლობის მემორანდუმს გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შონვაძემ და მსოფლიო ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

გარემოს დაცვის მინისტრის განცხადებით, "პროექტის დაფინანსების საკითხი უმოკლეს ვადაში - ხუთ თვეში გადაწყდა. ეკოტურიზმზე მსოფლიოში მოთხოვნა იზრდება. საქართველოს პოტენციალი ამ მიმართულებით ძალზე დიდია და ამ პროექტის საშუალებით საქართველო ახლო მომავალში ქვეყანა-ბრენდი "ეკო-ტური" გახდება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ბევრ ხელშესახებ შედეგს გამოიღებს." მისივე თქმით, ეკოტურების განვითარებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები. ეს პროექტი კი ისეა დაგეგმილი, რომ გარემო იყოს დაცული და უარყოფითი მხარეები მინიმუმამდე დაყვანილი.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი შონვაძის განცხადებით, "საქართველო, როგორც ბიომრავალფეროვანი ქვეყანა, მსოფლიოს მიერ უკვე აღიარებულია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მარკეტინგული კვლევების ჩატარება, რომელთა შედეგების გათვალისწინებით ტურისტული სერვისები გაუმჯობესდება. ამ პროექტის წყალობით, მალე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ტურისტული პროდუქტები გვექნება, რაც თავისთავად გულისხმობს დაცული ტერიტორიების რაოდენობის პროცენტულ ზრდას, რისი რესურსიც საქართველოში ნამდვილად არსებობს."

მსოფლიო ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენლის, მაიკლ მაიერის განცხადებით, "საქართველოს ბუნებრივი პოტენციალი ნამდვილად იძლევა ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ეკო-ტურების განვითარების საშუალებას. ბოლო პერიოდში აქ ტურიზმის სფერო ძალზე სწრაფად ვითარდება, იმატა ვიზიტორების რაოდენობამ და საჭირო და აუცილებელია ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და სერვისის განვითარება. ეს პროექტი წარმატებით იმუშავებს და საქართველო კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდება უცხოელი ტურისტებისთვის."

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ღეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„ქართული ოცნების„ კვალი პოლიციელის მოსყიდვაში

ვირველი გვერდიდან

ზაზა ჭელიძე ლაშა კურტანიძეს კოალიცია "ქართული ოცნების" სახელით აძლევდა დავალებებს და სთხოვდა, რომ ფარულად ჩაეწერა სამართალდამცავები, ასევე, ფარულად გადაეღო პოლიციის სპეციალური თათბირები.

უტიაშვილის ინფორმაციითვე, გამოძიების პროცესში პოლიციელ ლაშა კურტანიძეს წარედგინა მტკიცებულებები, მან დანაშაული აღიარა და გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვა.

"კურტანიძე ჩაერთო ოპერატიულ ღონისძიებებში, ფარულად ჩაწერა ზაზა ჭელიძის საუბარი, თუმცა, შემდეგ ჭელიძე გააფრთხილა და მიიმალა," - აცხადებს შოთა უტიაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზაზა ჭელიძის აღიარებითი ჩვენებები გაავრცელა. ჩვენებებში კურტანიძისა და ჭელიძის შეხვედრებზეა საუბარი. ლაშა კურტანიძე ამბობს, რომ მან მეგობრის, ჯონი ქურციკიძის სახლში მისი სიძე ზაზა ჭელიძე გაიცნო, რომელიც დაინტერესდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო კურტანიძეს "გვერდში დგომისთვის". ჩვენების მიხედვითვე, მოგვიანებით, შეხვედრისას, ჭელიძემ მას გადასცა ჩამწერი აპარატურა თავისი აღჭურვილობით. აღიარებითი ჩვენების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს საფასურად, ჭელიძემ კურტანიძეს კონვერტი გადასცა, სადაც 3000 დოლარი იდო.

პოლიციელის მოსყიდვის ბრალდებით დაკავებული ზაზა ჭელიძის ჩვენებაში კოალიცია "ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს წევრ ირაკლი სესიაშვილის სახელი და გვარი ფიგურირებს. ჭელიძე აცხადებს, რომ კურტანიძის მიერ გაკეთებული ჩანაწერები მეგობარს, ირაკლი სესიაშვილს გადასცა, რომელმაც, ჭელიძის ჩვენების თანახმადვე, ასლის გადაღება მოითხოვა.

"ერთადერთი, ამ საქმესთან რაც მაკავშირებს, არის ის, რომ ზაზა ჭელიძე არის ჩემი მეგობარი. ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. დანარჩენი ყველაფერი შსს-ს ბოდვაა," - განუცხადა სააგენტო news.ge-ს ირაკლი სესიაშვილმა, მოგვიანებით კი სპეციალური განცხადება გაავრცელა.

"ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარია ის, რაზეც ზაზა ჭელიძე საუბრობდა ვიდეოჩანაწერში. მე დიდი ხანია ვიცნობ ზაზას, ვმეგობრობთ და დღეს ერთადაც ვაპირებდით ქალაქგარეთ ნაკვეთში მუშაობას. როგორც გავარკვიე, დღეს დილით მასთან სახლში მივიდნენ კუდ-ის და სოდ-ის თანამშრომლები და ფეხმძიმე მეუღლესთან და ძმებთან ერთად სადღაც წაიყვანეს. მე ვვარაუდობ, რომ აღნიშნული ვიდეოჩანაწერი გაკეთებულია მასზე და მის მეუღლეზე ზეწოლის შედეგად. მე და ზაზას არაერთხელ გვისაუბრია უამრავ საკითხზე, მათ შორის პოლიტიკურ თემებზეც და საზოგადოებაში არსებულ განწყობებზე. მეც მითქვამს მისთვის და მასაც უთქვამს ჩემთვის, რომ უამრავი საჯარო მოხელე კერძო საუბრებში ოპოზიციურ განწყობებს აფიქსირებს. ზაზა, როგორც იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო ბიუროს ყოფილი მუშაკი, იცნობდა სამართალდამცავი ორგანოების ბევრ თანამშრომელს და იმასაც მეუბნებოდა ხოლმე, რომ ბევრ პოლიციელს თავად ამოუვიდა ყელში ხელისუფლების მოქმედებები და ისინიც ელიან ცვლილებებს. რაც შეეხება რაიმე თანხის სანაცვლოდ უკანონო ქმედების განხორციელებას, ეს არის სრული აბსურდი და შეთითხნილი ბრალდება. მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს, შეწყვიტონ ზაზა ჭელიძის და მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლა ყალბი ჩვენებების მიღების მიზნით," - ასეთია ირაკლი სესიაშვილის სპეციალური განცხადების მოკლე შინაარსი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული სპეციალური ბრიფინგიდან რამდენიმე საათში, სხვადასხვა სოციალური ქსელით გავცელდა ინფორმაცია, რომ სამართალდამცველებმა, ძებნილი პოლიციელის, ლაშა კურტანიძის მეუღლე ქეთი ბარამიშვილი დააკავეს. ამავე ინფორმაციებით, დაკავებამდე ქეთი ბარამიშვილმა ტელეკომპანია "მეცხრე არხს" ბიძინა ივანიშვილის სახელზე მისი მეუღლის მიერ დაწერილი წერილი გადასცა. ამავე ინფორმაციის მიხედვით, კურტანიძე წერილში წერს, რომ ის კვარიათიდან გაიტაცეს, ფიზიკურად გაუსწორდნენ და დაემუქრნენ. შემდეგ კი ვიდეოკამერების წინ ათქმევინეს, რომ ივანიშვილის გარემოცვისგან თანხა მიიღო.

"ლაშა კურტანიძის მეუღლეს ქეთი ბარამიშვილს სამართალდამცველები მოწმის სტატუსით კითხავენ," - ასეთი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

საკუთარი ინფორმაცია

"მწვანე ეკონომიკის" 15 პროექტი საქართველოში

"მწვანე ეკონომიკის" ფარგლებში საქართველოს მთავრობამ, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, 15 პროექტი შეიმუშავა, რომელსაც კერძო სექტორს უახლოეს დღეებში წარუდგენს.

აღნიშნულ საკითხზე გაეროს განვითარების პროგრამა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ერთობლივად მუშაობს. თბილისში გამართულ მწვანე ბიზნესშესაძლებლობების კონფერენციაზე, რომელიც სწორედ "მწვანე ეკონომიკის" საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ საქართველოს მწვანე ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ამ მიმართულებით მთავრობა კერძო სექტორთან ერთად ინტენსიურად იმუშავებს.

პროექტი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამის "საჯარო სექტორში რეფორმების მხარდამჭერი კონსულტაციების პროექტის" ფარგლებში ხორციელდება. საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების გუნდი მდგრადი და ეკონომიკურად გამართლებული მწვანე ბიზნესების (მწვანე პროდუქტების წარმოება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერგიაზე დაფუძნებული წარმოება) განსასაზღვრად შეიკრიბა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვერა ქობალიას განცხადებით, "მწვანე ეკონომიკის" განვითარებისთვის მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც კერძო სექტორმა უნდა თქვას. მისი თქმით, "დღეს საქართველოში არსებობს უზარმაზარი პოტენციალი მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. საუბარი არ არის მხოლოდ ჰიდრორესურსებზე, საუბარია, ასევე, მწვანე ტრანსპორტის საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და სხვა. ამჟამად ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს საუბარი და ეს ქართული წარმოების ნატურალური პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში გატანის, ასევე, ტურიზმის სექტორის ე.წ. მწვანე მიმართულებით გაზრდის და კერძო სექტორისთვის რეალური პროექტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ასე რომ, შევხედოთ "მწვანე ეკონომიკას," როგორც შემოსავლიან ბიზნესს."

ვერა ქობალიას განცხადებით, უკვე დამუშავებულია 15 კონკრეტული პროექტი, რომელიც კერძო სექტორს წარედგინება. მისივე თქმით, "ეს არის საერთაშორისო ექსპერტების მიერ დამუშავებული მომგებიანი პროექტები და მნიშვნელოვანია, რომ კერძო ბიზნესის წამომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, უკვე მზა პროექტი წაიღონ ბანკში და მოიპოვონ დაფინანსება.»

გაერო-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები, რაც ითვალისწინებს განახლებად ენერგიაზე გადასვლას, მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას, მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერგიის გეგმის შემუშავებისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კალიფორნიის შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა.

მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300 პროცენტით გაზარდა. ჩინეთში სუფთა ენერგიის დასაფინანსებლად 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო. შესაბამისად, ჩინეთმა წინ გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერგოტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩადებული ინვესტიციების მოცულობით, დიდი ბრიტანეთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა, შემდეგ - ესპანეთი და ბრაზილიაა.

როგორც მიმდინარე ტენდენციები უჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ, ვინაიდან მწვანე ეკონომიკა - ეს არის 21 საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდეც, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტუალურია როგორც არასდროს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნესშესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

მწვანე ზრდის ინიციატივა წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას (მაგ. ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საშუალებით). მისი განხორციელება მოხდება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებს კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკას, არაპროტექციონისტული საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასა და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

პატრიარქი ბაგრატის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოების შეჩერებას ითხოვს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბაგრატის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოების მიმართ კრიტიკოსთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებს და ამ სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერებას ითხოვს. როგორც უწმინდესმა გუშინდელ საკვირაო ქადაგებაში აღნიშნა, ბევრი რამ არასწორად კეთდება და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ რესტავრაცია თვითნებურად და საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად მიმდინარეობს. "ამიტომ გავეცი ბრძანება, დროებით შეწყდეს სარესტავრაციო საქმიანობა ბაგრატის ტაძარში, ვიდრე არ გავერკვევით დეტალურად, რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გაკეთდეს. ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ისტორიული და კულტურული ძეგლია და მას ასე უბრალოდ ხელი არ უნდა მოვკიდოთ," - აღნიშნა პატრიარქმა.

მისი თქმით, საპატრიარქო გამართავს შეხვედრებს "იუნესკოს" წარმომადგენლებთან და იმ მშენებლებთან, რომლებიც სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებდნენ.

"ეს უნდა იცოდეს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემაც და ბაგრატის ტაძარში უნდა შეწყდეს სარესტავრაციო სამუშაოები, ვიდრე არ იქნება გარკვეული ყოველი დეტალი. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ბაგრატის ტაძარი "იუნესკოს" ყურადღებიდან იქნეს ამოღებული. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება და ჩვენ მივიღებთ ისეთ ტაძარს, როგორიც ჩვენთვისაა საჭირო. "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია", სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე და მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის," - ბრძანა უწმინდესმა.

ნატო-ს კვირეული ოფიციალურად დაიხურა

ნატო-ს კვირეული თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოფიციალურად დაიხურა. უნივერსიტეტში ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე და ნატო-ში ლიტვის მუდმივი წარმომადგენელი კესტუტის იანკაუსკასი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მისი მთავარი თემა კი ნატო-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები იყო. ნატო-ს დღეები საქართველოში უკვე მეხუთედ ჩატარდა. კვირეულის ღონისძიებებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა. ნატო-ს დღეების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები სტუდენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან. ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, გამოფენები, ექსკურსიები, სხვადასხვა კონკურსები და დებატები.

ნატო-ს კვირეული ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ გახსნა.

"ინვალიდთა ასოციაცია" სოციალური სოლიდარობის ფორუმს ქმნის

"ინვალიდთა ასოციაციის" წევრებმა ფორუმის პრეზენტაცია გუშინ ვაკის პარკში გამართეს. როგორც "ინტერპრესნიუსი" ასოციაციის პრეზიდენტ ზაზა სიხარულიძის განუცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, ქვეყანას აქვს იმის რესურსი, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის მეტი გაკეთდეს. მან მოუწოდა სოციალურად დაუცველი ყველა ფენის წარმომადგენლებს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთ, ვეტერანებს, პენსიონერებს, დევნილებს, უმუშევრებს, ბანკების მოვალეებს, უბინაოებს, მეანაბრეებს, ყოფილ ემიგრანტებს, ემიგრანტთა და პატიმართა ოჯახის წევრებს, რომ შეიქმნას ერთიანი სოციალური ფორუმი და საკუთარი უფლებების დასაცავად ერთობლივად იბრძოლონ.

სიხარულიძემ პოლიტიკურ ძალებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ფორუმის მხარში დგომა სთხოვა. "ინვალიდთა ასოციაციაში" პენსია-დახმარება-შემწეობებისა და ხელფასების აუცილებელ საარსებო მინიმუმთან - 300 ლართან გათანაბრებას ითხოვენ. ასევე, ითხოვენ, რომ პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაერო-ს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება მოახდინოს.

ასოციაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ "ინვალიდთა კვირეულის ფარგლებში გამართულმა ღონისძიებებმა შედეგი უკვე გამოიღო - მუშაობა დაიწყო ახალმა სახელმწიფო პროგრამამ, რომლის მიზანია ინვალიდების ცხოვრების გაუმჯობესება. ასევე, დაიძრა ინვალიდთა ორგანიზაციებისთვის შენობების უზურფუქტის წესით გადაცემის საკითხი."

საბერძნეთი: არჩევნების გადამწყვეტი რაუნდი

პირველი გვერდიდან

ანტონის სამარასი ("ახალი დემოკრატია")

ალექსის ციპრასი ("სირიზა")

მეტიც, ექსპერტები იმაზეც საუბრობდნენ, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებამ, შესაძლოა, ქვეყანა პოლიტიკურ ქაოსამდეც მიიყვანოს. არჩევანი მართლაც რთულია: ან ხისტი ეკონომიკური პაკეტის ბოლომდე განხორციელება, ან ევროზონის მიღმა დარჩენა. თუმცა ამ უკანასკნელს კიდევ ერთი საფრთხეც ემატება - პენსიონრებისა და საბიუჯეტო ანაზღაურებაზე მომუშავე მუშახელის უშემოსავლოდ დარჩენა. უკვე დიდი ხნის მანძილზე გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისით დამფრთხალი მოსახლეობა სულ უფრო კარგავს ბანკებისადმი ნდობას და ანგარიშებიდან თანხებიც გამოაქვთ. გაურკვეველი მომავლის შიშზე არჩევნების დღეს ღიად საუბრობდნენ კიდეც ბერძნები. **"ვნერვიულობ, მით უფრო, რომ არც პირადი დანაზოგი მაქვს და არც ანგარიში ბანკში. ვღელავ ჩემი შვილების მომავალზე, რადგან ისინი უმუშევრები არიან,"** - განაცხადა "როიტერთან" საუბარში ათენის მკვიდრმა დესპინა ცილალიმ.

ელექტორატის ფრთხილ და ხშირ შემთხვევაში უარყოფით დამოკიდებულებას პოლიტიკური ძალებისადმი ანალიტიკოსები ბოლო დროს მთავრობის მიერ ინიცირებული "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკით ხსნიან, რამაც მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ფენას. გარდა ამისა, ხისტმა ეკონომიკურმა ღონისძიებებმა პრობლემები ტურიზმს, მცირე და საშუალო ბიზნესსაც შეუქმნა. "ადრე მხარს ტრადიციულ პარტიებს ვუჭერდი, მაგრამ მათ ხალხს მოლოდინი გაუცრუეს და ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა; ამიტომაც გადავწყვიტე, ხმა მემარჯვენე ძალებისთვის მიმეცა," - განაცხადა ასევე ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე სატელევიზიო გამოკითხვაში საბერძნეთის მოქალაქემ.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით კი, განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ორ უმსხვილეს პოლიტიკურ ძალას - კონსერვატიულ "ახალი დემოკრატიის" პარტიასა და "საერთობერძნულ სოციალისტურ მოძრაობას" აქვს. ამავდროულად, არ გამოირიცხება შედარებით ნაკლები რაოდენობის მანდატებით საკანონმდებლო ორგანოში მემარჯვენე ნაციონალისტების, კომუნისტებისა და კოალიცია "სირიზას" შესვლაც, რომელიც რადიკალურ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს და ხისტ ეკონომიკურ ღონისძიებებს ეწინააღმდეგება. **"ჩვენ შიში დავძლიეთ. დღეს იმედით სავსე მომავალს ეყრება საფუძველი, სადაც ჩვენი ხალხი ერთიანი, ამაყი და ღირსებით აღსავსე იქნება; იცხოვრებს სოციალური თანასწორობის პირობებში აყვავებულ საბერძნეთში, რომელიც ცვალებად ევროპაში თანაბარუფლებიანი პარტნიორი იქნება,"** - განაცხადა კოალიცია "სირიზას" ლიდერმა ალექსის ციპრასმა საარჩევნო უბანზე ჟურნალისტებთან საუბარში.

ქვეყნის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისზე გააკეთა აქცენტი ასევე მემარჯვენე-ცენტრისტული ძალების ლიდერმა ანტონის სამარასმა, რომელიც ამომრჩევლებს საერთაშორისო კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ახალ პირობებში მთავარია კომპრომისის მიღწევა.

არჩევნების შედეგებს მოუთმენლად ელის ევროპაც, რომელზეც დიდ გავლენას იქონიებს ბერძნული ელექტორატის მიერ გაკეთებული არჩევანი. როგორც გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ჯერ კიდევ შაბათს განაცხადა, საბერძნეთის არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა ის კანონმდებლები აირჩიონ, რომლებიც გამკაცრებულ ეკონომიკურ პროგრამას შეასრულებენ და ევროკავშირსა და მსოფლიო სავალუტო ფონდთან მიღწეული შეთანხმების პირობებს აღიარებენ. იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთს ევროზონიდან გასვლა მოუხდება, ეს ფინანსურ კრიზისში მყოფ ესპანეთსა და იტალიაზეც მძიმე შედეგებს იქონიებს.

საპარლამენტო არჩევნები საბერძნეთში 6 მაისს ჩატარდა, მაგრამ პოლიტიკოსებმა მთავრობის ფორმირებაზე შეთანხმება ვერ შეძლეს, რამაც განმეორებითი არჩევნების დანიშვნის აუცილებლობა განაპირობა.

გუშინ საღამოს უკვე გამოქვეყნდა სოციოლოგიური გამოკითხვის, ე.წ. "ეგზიტ პოლის" შედეგები, რომლის თანახმადაც, ლიდერობენ მემარჯვენე ცენტრისტული "ახალი დემოკრატია" და მემარცხენე რადიკალური "სირიზა". ახალი დემოკრატია, სავარაუდოდ, 27,5-30,5 პროცენტს მიიღებს, ხოლო "სირიზა" - თითქმის იმდენივეს, 27-30 პროცენტს. სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა (პასოკი) იღებს ხმების დაახლოებით 10-12 პროცენტს. თვითონ საარჩევნო კომისიას წინასწარი მონაცემების პირველი ვარიანტი გუშინ, გვიან ღამითვე უნდა გამოექვეყნებინა.

თუ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები დადასტურდება და ძალთა თანაფარდობა ასეთი გაურკვეველი დარჩება, მაშინ საბერძნეთს ელის ძალიან მძიმე მოლაპარაკებები კოალიციის შესაქმნელად და შეიძლება, პოლიტიკური კრიზისიც გაგრძელდეს. თუ "ევროზონაში დარჩენის მომხრეები" ანუ "ახალი დემოკრატია" (საბერძნეთის კანონმდებლობით, პირველ ადგილზე გასული პარტია დამატებით იღებს კიდევ 50 მანდატს) და "პასოკი" მცირერიცხოვან მომხრეებთან ერთად მაინც ვერ მოიპოვებენ უმრავლესობას, სერიოზული რყევები გარდაუვალია.

ბიზნესი

ოპეკმა ნავთობის მოპოვების კვოტები უცვლელი დატოვა

თინა შავაძე

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (ოპეკი) ნავთობის მოპოვების კვოტები უცვლელი დატოვა - 30 მილიონი ბარელი დღე-ღამეში.

ეს გადაწყვეტილება გუშინ ვენაში ოპეკის კონფერენციაზე მიიღეს, რომელშიც ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები მონაწილეობდნენ.

Brent-ის ტიპის ნავთობის ივლისის ფიუჩერსების ღირებულება, ლონდონის ბირჟაზე ბოლო ვაჭრობის შედეგებით, 0,10 დოლარით შემცირდა და ბარელზე 97,03 დოლარი შეადგინა.

მსუბუქი ნავთობის ივლისის ფიუჩერსების ფასმა ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე 1, 29 დოლარით მოიმატა და ბარელზე 83, 91 დოლარს მიაღწია.

ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ ოპეკის ვენის სხდომაზე, მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის დაბალანსების მიზნით, კვოტების შემცირების საკითხი განიხილებოდა.

ბაზარზე არსებული ჭარბი მიწოდებისა და შემცირებული მოთხოვნის გამო, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში ნავთობის ფასი პერიოდულად ეცემა. თუმცა, ოპეკმა კვოტების შემცირება ირანის სანქციების გამო გადადო.

კარლოს სლიმმა არგენტინის ნავთობისა და გაზის კომპანიაში წილი იყიდა

თინა შავაძე



მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა, მექსიკელმა კარლოს სლიმმა არგენტინის ნავთობისა და გაზის კომპანია YPF-ში, რომელიც ამ ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ნაციონალიზებულია, 8,4-პროცენტიანი წილი შეიძინა, - ამის შესახებ არგენტის ბირჟის პორტალი Bolsamania არგენტის ხელისუფლებაზე დაყრდნობით იუწყება.

მაისის დასაწყისში ძალაში შევიდა განკარგულება YPF-ის აქციათა 51 პროცენტის ექსპროპრიაციის შესახებ, რომლებიც ესპანურ ნავთობისა და გაზის კომპანია Repsol-სა და მის შვილობილ YPF Gas S.A.-ს ეკუთვნოდათ.

არგენტინის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ Repsol-მა ნავთობისა და გაზის სფეროში არასაკმარისი ინვესტიციები განახორციელა და დივიდენდების სახით მოგება ქვეყნის გარეთ გაიტანა.

კომპანია იმაშიც ამხილეს, რომ მან ნავთობის მსოფლიო ფასების ცვლილების შედეგად მოგების მიღების მიზნით დიდი რაოდენობის ნავთობის ექსპორტი მოახდინა, ნაცვლად იმისა, რომ ის ნავთობი ადგილობრივი, რეგულირებადი ბაზრისთვის მიეწოდებინა.

ამჯერად სლიმი YPF-ის D კლასის 32,9 მილიონ აქციას აკონტროლებს. მექსიკელი მილიარდერის მიერ აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მათი ფასი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე 10 პროცენტით გაიზარდა.

ცნობისათვის - სლიმის ქონება ამ ეტაპზე, დაახლოებით, 70 მილიარდ დოლარს შეადგენს. მისი ძირითადი ბიზნესი სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაა. მას ეკუთვნის კომპანიები America Movil, Telcel, Telefonos de Mexico და Altria Group.

სლიმის მთავარი აქტივია Grupo Carso, რომელიც მთელ რიგ მექსიკურ კომპანიებს აკონტროლებს.

ახალი პრეზიდენტი პარლამენტისა და კონსტიტუციის გარეშე

ივა შილაკაძე

ეგვიპტეში 16 და 17 ივნისს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ზომიერი ისლამისტების წარმომადგენელი მოჰამედ მურსი და ძველი რეჟიმის სახე, ყოფილი პრემიერი მუბარაქის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში ახმედ შაფიკი. არჩევნების შედეგები 21 ივნისს უნდა გახდეს ცნობილი. თუმცა კენჭისყრას მეორე ტურს წინ უძღოდა ზამთარში არჩეული პარლამენტის არალეგიტიმურად გამოცხადება, რამაც სიტუაცია უკიდურესად დაძაბა (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი"). ქვეყანაში გაისმა მოწოდებები საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტისკენაც, თუმცა ამ მოწოდებამ მაინცდამაინც აქტიურად არ იმუშავა.

სამი დღის წინ ეგვიპტის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა, რომ ქვეყანაში დეკემბერ-თებერვალში რამდენიმე ეტაპად არჩეული პარლამენტი არალეგიტიმურია, რადგან საარჩევნო პროცედურა დაირღვა. საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი პრეტენზია ის არის, რომ პარლამენტში ადგილების მესამედი განკუთვნილია დამოუკიდებელი დეპუტატებისთვის, მაგრამ არჩევნების დროს ამ ადგილებისთვის ბრძოლის საშუალება მიეცათ პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატებსაც. ამან, შესაბამისად, დაარღვია ძალთა ბალანსი, რაც წინასწარ იყო ჩადებული კანონში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარლამენტი არალეგიტიმურად გამოცხადდა, მაგრამ მისი გაყრა არავის მოუთხოვია. ეგვიპტეში მოქმედი დროებითი კონსტიტუციის თანახმად, არ არსებობს ორგანო, რომელსაც აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილება. მიუხედავად ამისა, უმაღლესმა სამხედრო საბჭომ შაბათს მაინც გამოაცხდა პარლამენტი დაშლილად და დეპუტატებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობაში შესვლა აუკრძალა. შენობას ჯარისკაცები იცავენ. სავარაუდოდ, დათხოვნილ იქნება 100-კაციანი საკონსტიტუციო ასამბლეაც, რომელიც არჩეულია პარლამენტის ორივე პალატის მიერ და რომელსაც ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის დაწერა ევალებოდა.

პანარაბული მოძრაობა "ძმები მუსულმანების" განცხადებით, სამხედრო მმართველობის ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების უზურპაციას ნიშნავს. მოძრაობა მოითხოვს, რომ პარლამენტის დაშლის შესახებ გადაწყვეტილება რეფერენდუმზე იქნას გატანილი. ისინი აცხადებენ, რომ სამხედროები არ აპირებენ თავისი სიტყვის დაცვას და ძალაუფლების გადაცემას დემოკრატიულად არჩეული სამოქალაქო ხელისუფლებისთვის. მათ ხალხს რევოლუციის მონაპოვრების დაცვისაკენ მოუწოდეს. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ მოძრაობა "ძმები მუსულმანების" პოლიტიკური ფრთა ეგვიპტეში - "თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტია" - დაახლოებით 100 მანდატს ფლობს 235-კაციან პარლამენტში. კიდევ დაახლოებით 25-30 პროცენტი აქვთ რადიკალ-ისლამისტებს - სალაფიტებს.

როგორც ისლამისტებმა, ასევე ლიბერალებმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას "გადატრიალება" უწოდეს. ექვსი პოლიტიკური პარტიის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში ნათქვამია: "ეს ზომები მოწმობს, რომ შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭო კონტრრევოლუციის სათავეში დგას და ქვეყანაში ძველი რეჟიმის დაბრუნებასა და საპრეზიდენტო არჩევნების ფარსად გადაქცევას აპირებს."

ამავე განცხადებაში არის მოწოდება მოჰამედ მურსის მიმართ, რომ ბოიკოტი გამოუცხადოს მეორე ტურს. თუმცა "თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის" განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისინი არჩევნებში მონაწილეობას, მის მოგებას და ამ გზით "ძველი რეჟიმის წარმომადგენლის იზოლირებას" აპირებენ.

თავის მხრივ, ახმედ შაფიკმა, რომელსაც მუბარაქის მმართველობის დროს, პრემიერის თანამდებობის გარდა, სხვადასხვა დროს სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურისა და ავიაციის მინისტრის პოსტები ეკავა, "ქაოსის დამარცხებისა და ქვეყანაში სტაბილურობის დაბრუნების" პირობა დადო.

არჩევნების პირველ ტურში მოჰამედ მურსის ჰქონდა ხმების 24,8 პროცენტი, ხოლო ახმედ შაფიკს - 23,7 პროცენტი.

ახმედ შაფიკმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია სტაბილურობის, კანონიერებისა და წესრიგის დაბრუნებაზე ააგო. დამკვირვებელთა ნაწილის აზრით, ეს ლოზუნგები შეიძლება მიმზიდველი იყოს რამდენიმეთვიანი პოლიტიკური (და არა მარტო პოლიტიკური) ქაოსის შემდეგ. თუმცა მისი კრიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი ოფიცერი არის სამხედროების არაოფიციალური კანდიდატი და მუბარაქის ავტორიტარული მმართველობის სიმბოლო.

ამის საპირისპიროდ, მოჰამედ მურსის აქვს რევოლუციონერის და მუბარაქის ჩამომგდები მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის იმიჯი. ის იძლევა ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების პირობას. მან ბოლო დროს შეარბილა თავისი პოზიცია რელიგიურ საკითხებშიც, რითიც ლიბერალებისა და უმცირესობების ხმების მოპოვებას ცდილობს.

ეგვიპტეში მყოფი ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ აქა-იქ ისმოდა მოწოდებები ბოიკოტის და ბიულეტენების გაფუჭებისკენ. ხალხი მაინც აძლევდა ხმას, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად აქტიურად, ვიდრე პირველ ტურში. სახელმწიფო ტელევიზია ხალხს, პირიქით, ხმის მიცემისკენ მოუწოდებდა. მიმომხილველების აზრით, განსაკუთრებით ახალგაზრდობა პასიურობდა. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ არჩევანი ისლამისტსა და მუბარაქის რეჟიმის წარმომადგენელს შორის მათთვის, რეალურად, არჩევანი არ არის. ქვეყანაში ერთმანეთს უპირისპირდებიან სამოქალაქო და რელიგიური მმართველობის მომხრეები, მაგრამ სამოქალაქო მმართველობა წარმოდგენილია "უარესი ვარიანტით". არჩეულ პრეზიდენტს კი ყველა შანსი აქვს, ხელისუფლება ჩაიბაროს რეალურად მოქმედი კონსტიტუციისა და პარლამენტის გარეშე, ასეთ პირობებში კი სამხედროებთან ჭიდილი ძალაუფლების "მოსაპოვებლად" ძალიან ძნელი იქნება.

არჩევნების მეორე ტური საფრანგეთში

საფრანგეთში კვირას საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. ეს არის საფრაგეთის ქვედა პალატის რიგით მეთოთხმეტე არჩევნები მას შემდეგ, რაც 1958 წელს მეხუთე რესპუბლიკა შეიქმნა. 10 ივნისს გამართულ პირველ ტურში 36 დეპუტატი აირჩიეს, 541 მანდატი კი კვლავ ვაკანტური რჩებოდა.

ქვედა პალატაში - ეროვნულ კრებაში აბსოლუტური უმრავლესობის მოსაპოვებლად სოციალისტებსა და მათ უახლოეს მოკავშირეებს ("რადიკალური მემარცხენე პარტია" - PRG და "რესპუბლიკური და სამოქალაქო მოძრაობა" - PGM) 577-დან - 289 ადგილი სჭირდებათ. ამ ციფრის მიღწევა საკმაოდ რეალური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტების პროგნოზებს, რომელიც ამომრჩევლების გამოკითხვას ემყარება. ეს კვლევები პირველ და მეორე ტურებს შორის ჩატარდა.

მთავარი კითხვები, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში მეორდებოდა, ეხებოდა სოციალისტური პარტიის ცალკეული კანდიდატების, ასევე "ნაციონალური ფრონტისა" და "დემოკრატიული მოძრაობის" წევრების პერსპექტივებს. მეორე ტურში ერთ-ერთი "ცხელი წერტილი" იყო ქალაქი ლა-როშელი, სადაც, პირველი ტურის მონაცემებით, საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა სოციალისტი სეგოლენ რუაიალი. იგი იყო პარლამენტის ქვედა პალატაში დე-სევრის დეპარტამენტის წარმომადგენელი. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იმედოვნებდა, რომ მარტივად გაიმარჯვებდა მეზობელ ზღვისპირა შარანტას დეპარტამენტშიც და, რაც მთავარია, ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებდა. თუმცა მას გზაზე სოციალისტი, "დისიდენტი სოციალისტი" ოლივიე ფალორნი გადაეღობა, რომელსაც მორალურად მხარს უჭერს საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე ვალერი ტრიერვეილერი (ეს სიმპათია გასაგებია, სეგოლენ რუაიალი პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პირველი ცოლია). ოლივიე ფალორნის დიდი შანსი აქვს, ლა-როშელში გაიმარჯვოს, სადაც მას უკვე დიდი ხანია იცნობენ. იქიდან გამომდინარე, რომ ის არის სოციალისტური პარტიის ადგილობრივი განყოფილების პირველი მდივანი, მერის მოადგილე და ასევე რეგიონული საბჭოს წევრი.

სეგოლენ რუაიალი

რუაიალი და სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი მარტინ ობრი შეეცადნენ, იმისთვის მიეღწიათ, რომ ფალორნის არჩევნების მეორე ტურში საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა, თუმცა მათ უარი მიიღეს. ფალორნიმ განაცხადა, რომ "ერთი კანდიდატი მხოლოდ საბჭოთა რეჟიმში არსებობს." მისი გამარჯვების შემთხვევაში რუაიალს პოლიტიკური სცენის უკანა პლანზე გადასვლა მოუწევს.

საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, მოხვდება თუ არა მარინ ლე პენის "ეროვნული ფრონტის" წარმომადგენელი პარლამენტის ქვედა პალატაში. წინასწარი მონაცემებით, პარტიამ, შესაძლოა, 4 ადგილი დაიკავოს.

ანალიტიკოსთა პროგნოზის თანახმად, ყველა კანდიდატი მინისტრი უნდა მოხვდეს პარლამენტში. ექვსი მინისტრი უკვე აირჩიეს არჩევნების პირველ ტურში. რთული სიტუაცია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებში მინისტრ-დელეგატს მარიარლეტ კარლოტის გააჩნია, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს მარსელში. მას და მის კონკურენტს "UMP"-დან, მოქმედი პარლამენტის დეპუტატ რონო მუზოლიეს დაახლოებით თანაბარი ხმები აქვთ.

ეროვნულ ასამბლეაში წარმოდგენილები არ იქნებიან მინისტრები, მათ ადგილს ქვედა პალატაში მათი მოადგილეები დაიკავებენ.

ბოლო ინფორმაციით, სოციოლოგიური გამოკითხვის, ე.წ. "ეგზიტ პოლის" შედეგების თანახმად სოციალისტები იგებენ არჩევნებს დამოუკიდებლად, უახლოეს მოკავშირეებთან ერთად და მათ არ დასჭირდებათ კოალიციის შექმნა მწვანეებთან და მემარცხენე ფრონტთან. მათ შეიძლება მიიღონ 312-იდან 326 მანდატამდე. პარლამენტში შედიან ულტრამემარჯვენების "ეროვნული ფრონტის" წარმომადგენლებიც. სავარაუდოდ 1-დან 4 კაცამდე.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

იანუკოვიჩი: ტიმოშენკოს ჯერ ვერ შევიწყალებ

ივა შილაკაძე

ტიმოშენკო ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიმბაუსკაიტემ მოინახულა

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა წინა კვირაში უკვე ორჯერ გააკეთა კომენტარი ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოსა და მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებზე. დასავლურ მედიასთან საუბარში იანუკოვიჩს სურს, თავი წარმოაჩინოს უცოდველ და უუფლებო პირად. ის მუდმივად ხაზს უსვამს, რომ კანონს ვერ დაარღვევს, თორემ თავისთავად განწყობილია ტიმოშენკოს შეწყალებისკენ.

ხუთი დღის წინ სააგენტო «ბლუმბერგისთვის» მიცემულ ინტერვიუში, კვირის ბოლოს კი ჟურნალ "ტაიმთან" საუბარში მან განაცხადა, რომ შეიძლება შეინწყალოს ექსპრემიერი და თავისი პოლიტიკური კონკურენტი, მაგრამ ეს კანონის დარღვევა იქნება. პრეზიდენტის განსახილველად ეს საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება, როდესაც სასამართლო სისტემაში, სტრასბურგის ჩათვლით, ტიმოშენკოს საქმეების განხილვა დამთავრდება. ამით მან ფაქტობრივად აღიარა, რომ უკრაინაში ტიმოშენკოს გამართლების შანსი არ არის. პარალელურად, პრეზიდენტი იანუკოვიჩი არღვევს უდანაშაულობის პრეზუმპციას და აცხადებს, რომ ტიმოშენკო რიგ კრიმინალურ საქმეებში მონაწილეობდა, მათგან ყველაზე რეზონანსულია უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატისა და ფინანსური კორპორაცია "ატონის" ხელმძღვანელის ევგენი შჩერბანის მკვლელობის საქმე. იანუკოვიჩის სიტყვებით, ეს არავისთვის არის საიდუმლო. შჩერბანი მეუღლესთან და აეროპორტის ერთ თანამშრომელთან ერთად დონეცკის აეროპორტში 1996 წელს ჩაცხრილეს. მოგვიანებით მისი ორი მკვლელიდან ერთი მოკლეს, მეორე დაიჭირეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ადრე ამ საქმეს მხოლოდ კრიმინალური საფუძველი ჰქონდა, შემდეგ ამ საქმესთან დაუკავშირეს უკრაინის ექსპრემიერი პაველ ლაზარენკო (ის ამერიკაში იხდის სასჯელს ფულის გათეთრებისთვის). ბოლო თვეებში კი ცდილობენ, ამავე საქმეში "ჩართონ" იულია ტიმოშენკო (ამის შესახებ კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისათვის).

იულია ტიმოშენკო, ისევე როგორც პაველ ლაზარენკო, კატეგორიულად უარყოფენ რაიმე კავშირს ამ მკვლელობასთან. ტიმოშენკომ უკვე ხარკოვის კოლონიაში ყოფნისას თავის წერილში აღნიშნა, რომ იმავე წარმატებით გენერალურმა პროკურატურამ შეიძლება ილაპარაკოს მის მონაწილეობაზე მაიკლ ჯეკსონის ან უიტნი ჰიუსტონის დაღუპვაში. ტიმოშენკოს ადვოკატები კი აცხადებენ, რომ უკრაინის მართლმსაჯულება განგებ აჭიანურებს ტიმოშენკოს აპელაციის განხილვას, რადგან მხოლოდ უკრაინულ სასამართლო სისტემაში საქმის ბოლომდე გავლის შემდეგ შეუძლია ექსპრემიერს სტრასბურგში ჩივილი.

უკრაინის პრეზიდენტი, ფაქტობრივად, აღარ მალავს, რომ ტიმოშენკოს გაშვებას არ აპირებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს ევროპის მიმართ, ამ საკითხში უკრაინაზე ზეწოლის გამო. ის აცხადებს, რომ დაიქირავა უცხოელი იურისტები, რომლებიც უკრაინის სიმართლის დამტკიცებას შეეცდებიან. მანვე დასძინა, რომ, მისი აზრით, სტრასბურგის სასამართლომ ტიმოშენკოს საქმეში შეიძლება აღმოაჩინოს მხოლოდ პროცედურული დარღვევები და არავითარ შემთხვევაში - იურიდიული.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი უფრო შორს წავიდა და ტიმოშენკოს დაპატიმრებასა და გასამართლებაში ევროპა დაადანაშაულა. მინისტრმა გრიშჩენკომ გამოთქვა ვარაუდი, რომ ტიმოშენკომ რუსეთთან გაზის ხელშეკრულებას ხელი ევროპელების ზეწოლით მოაწერა. დასავლეთის სახელმწიფოებს სურდათ პრობლემის მალე მოგვარება და მათკენ გაზის უკრაინის გავლით გაშვება. შესაბამისად, მაშინდელმა პრემიერმა იულია ტიმოშენკომ ანგარიში გაუწია ევროპის ინტერესებს და უკრაინის ინტერესები არ გაითვალისწინა. გრიშჩენკომ მიანიშნა, რომ როდესაც ანგელა მერკელი და სხვა პოლიტიკოსები მხარს უჭერენ ტიმოშენკოს, ამით ისინი მხარს უჭერენ "უკრაინელი ხალხის ხარჯზე პრობლემების მოგვარების" შესაძლებლობას.

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

AIRFRANCE KLM



დაიწყეთ თქვენი მოგზაურობა ავიაკომპანია KLM - თან ერთად

მოგზაურობა უნდა იყოს ისეთივე საინტერესო, როგორც მისი მიზანი. კაელემ ზრუნავს იმაზე რომ, თქვენ მოგანიჭოთ სიამოვნება ბილეთის დაჯავშვნიდან დანიშნულების ადგილამდე ფრენისას.

ნიუ-იორკი	1115 $*დან
ვაშინგტონი	1130 $*დან
ტორონტო	1125 $*დან

და სხვა მიმართულებები

ღირებულებაში შედის ყველა მოსაკრებელი
ფრენა თბილისიდან

გადახდა ხდება*$-დოლარის ექვივალენტი ლარში.

KLM Royal Dutch Airlines SKYTEAM

ფრენა როგორც შთაგონება

ბილეთების დაჯავშვნა KLM.ge

კაელემ და ჯორჯიან ეარვეისი ასრულებს რეისებს თბილისი -ამსტერდამი და შემდეგ მთელი მსოფლიოს მიმართულებით. ბილეთების დასაჯავშნად და სრული ინფორმაციის მისალებად ესტუმრეთ **www.klm.ge** ან ტურისტულ სააგენტოს.

ამინდი

თბილისი	32°C - 21°C	ნიუ-იორკი	24°C - 15°C
მცხეთა	32°C - 17°C	ლონდონი	19°C - 11°C
რუსთავი	28°C - 14°C	პარზი	21°C - 11°C
თელავი	33°C - 17°C	რომი	32°C - 16°C
გურჯაანი	34°C - 17°C	ბერლინი	25°C - 14°C
სიღნაღი	35°C - 20°C	მიუნხენი	28°C - 16°C
წინანდალი	33°C - 17°C	ვენა	30°C - 18°C
ლაგოდეხი	36°C - 17°C	ბუდაპეშტი	29°C - 14°C
გორი	30°C - 16°C	პეკინი	34°C - 20°C
ხაშური	29°C - 17°C	ტოკიო	23°C - 21°C
ბოლნისი	32°C - 17°C	დელი	44°C - 31°C
მარნეული	32°C - 17°C	მოსკოვი	22°C - 14°C
წყნეთი	30°C - 16°C	კიევი	23°C - 15°C
სიონი	25°C - 13°C	მინსკი	24°C - 11°C
მანგლისი	26°C - 15°C	ტალინი	21°C - 12°C
ცხინვალი	28°C - 14°C	თელ-ავივი	32°C - 23°C
ბაკურიანი	21°C - 9°C	ათენი	32°C - 21°C
გუდაური	18°C - 9°C	სტამბული	28°C - 20°C
ბორჯომი	29°C - 17°C	ანტალია	38°C - 26°C
სურამი	29°C - 17°C	ბაქო	34°C - 21°C
დავით-გარეჯი	29°C - 17°C	ერევანი	33°C - 17°C
ახალციხე	25°C - 15°C	ასტანა	27°C - 14°C
აბასთუმანი	21°C - 11°C	ბიშკეკი	27°C - 19°C
თიანეთი	29°C - 14°C	დუბაი	41°C - 32°C
ქუთაისი	30°C - 21°C	დუშანბე	34°C - 20°C
ზესტაფონი	30°C - 17°C	ვილნიუსი	22°C - 12°C
ხარაგაული	30°C - 17°C	იოჰანესბურგი	16°C - 3°C
საჩხერე	29°C - 15°C	კაირო	39°C - 24°C
ჭიათურა	28°C - 16°C	კიშინიოვი	27°C - 14°C
სენაკი	28°C - 19°C	კოპენჰაგენი	23°C - 12°C
ზუგდიდი	28°C - 19°C	ოსლო	16°C - 9°C
ხობი	28°C - 19°C	რეიკიავიკი	13°C - 7°C
ლანჩხუთი	28°C - 21°C	რიგა	24°C - 14°C
ჩოხატაური	27°C - 21°C	სტოკჰოლმი	16°C - 11°C
ოზურგეთი	25°C - 19°C	ტაშკენტი	37°C - 23°C
სოხუმი	27°C - 19°C	ჰელსინკი	19°C - 11°C
ბათუმი	26°C - 20°C	ბარსელონა	27°C - 20°C
ქობულეთი	26°C - 20°C	ბუქარესტი	29°C - 18°C
გონიო	26°C - 17°C	ვარშავა	26°C - 15°C
ურეკი	25°C - 17°C	ლისაბონი	26°C - 16°C
ფოთი	26°C - 21°C	მადრიდი	31°C - 18°C
ონი	28°C - 17°C	ნეაპოლი	31°C - 21°C
ამბროლაური	27°C - 16°C	პრაღა	29°C - 14°C
მესტია	24°C - 12°C	სოფია	29°C - 11°C
უშგული	16°C - 9°C	სტრასბურგი	24°C - 11°C
ომალო	23°C - 5°C	ფრანკფურტი	29°C - 12°C
შატილი	18°C - 11°C	ჰამბურგი	22°C - 12°C

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.4565
AMD	1000 სომხური დრამი	3.9479
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.6293
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.0830
BGN	1 ბულგარული ლევი	1.0490
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.7902
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.9720
CAD	1 კანადური დოლარი	1.5945
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7141
CNY	10 ჩინური იუანი	2.5694
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8062
DKK	10 დანიური კრონი	2.7699
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.7072
EUR	1 ევრო	2.0583
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5411
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1097
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.6937
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.2231
INR	100 ინდური რუპია	2.9325
IRR	10000 ირანული რიალი	1.3582
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.2799
JPY	100 იაპონური იენი	2.0643
KGS	100 ყირგიზული სომი	3.4767
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8457
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.0993
LTL	10 ლიტვური ლიტი	5.9574
LVL	1 ლატვიური ლატი	2.9281
MDL	10 მოლდავური ლეი	1.3583
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.7405
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.2734
PLN	10 პოლონური ზლოტი	4.7685
RON	10 რუმინული ლეი	4.6143
RSD	100 სერბიული დინარი	1.7648
RUB	100 რუსული რუბლი	5.0245
SEK	10 შვედური კრონი	2.3257
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.2768
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4343
TMT	10 თურქმენული მანათი	5.7432
TRY	1 თურქული ლირა	0.8987
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0479
USD	1 აშშ დოლარი	1.6368
UZS	1000 უზბეკური სომი	0.8715
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	1.9422
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4035
QAR	10 ყატარული რიალი	4.4970

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	2.64	+0.02	+0.62%
გაზი	2.51	+0.01	+0.56%
ოქრო	1,623.00	+3.40	+0.21%
ხორბალი	623.50	+0.00	+0.00%
S&P/TSX Composite Index	11,466.40	-31.45	-0.27%
Nasdaq Composite Index	2,836.33	+17.72	+0.63%
Dow Jones Industrial Average	12,651.90	+155.53	+1.24%

აფიშა

კლუბები

20:00 - **გია სურამელაშვილი, ანსამბლი "პრაიმი"**
რესტორანი "პრაიმი"
თემქა, III მიკრო რაიონი, მე-5 კვარტალი. ტელ: 235 95 40

19:00 - **რესტორანი "ბერმუხა" განახლებული საკონცერტო შოუ-პროგრამით, მაესტრო გია ყარალაშვილის ხელმძღვანელობით. ცოცხალი შესრულება-როიალი (გია ყარალაშვილი), საქსაფონი, აკორდეონი, ტამტამები, კლავიში, გიტარა და ფანდური. გაატარეთ სასიამოვნო დრო რესტორან "ბერმუხასთან" ერთად.**
რესტორანი "ბერმუხა"
აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. ტელ: 259 69 69; მობ: 598 59 69 69

კინოთეატრები

12:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (7,50-8,50 ლარი)
14:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
16:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
18:00 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (9,50-10,50 ლარი)
20:15 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50-11,50 ლარი)
22:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50-11,50 ლარი)
კინოთეატრი "ამირანი" (დიდი დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 299-99-55
12:00 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (7,50 ლარი)
14:15 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (8,50 ლარი)
16:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (8,50 ლარი)
18:45 - **"დიქტატორი"** - (8,50 ლარი)
20:35 - **"დიქტატორი"** - (9,50 ლარი)
22:30 - **"ბნელი ჩრდილები"** - (9,50 ლარი)
კინოთეატრი "ამირანი" (მცირე დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 299-99-55

თეატრები

19:45 - **"ოლივერ!" პრემიერა** -
(ბილეთის ფასი - 10, 15, 20, 25, 30 ლარი)
რუსთაველის თეატრი (დიდი სცენა)
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 272-68-68
წარმოგიდგენთ ახალგაზრდა მხატვარ მარიამ სოფო ქორიძის პერსონალურ გამოფენას. გამოფენილი იქნება 80-მდე ნამუშევარი -
(დასწრება თავისუფალია)
მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 234-28-99, 235-31-52

გამოფენები

სტენლი გრინის ფოტო-გამოფენა "ჩეჩნეთის გზაზე" 1993 - 2003
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11
ეროვნული გალერეა გიწვევთ ფოტოგამოფენაზე "სირია: მხილება" - ფოტოგრაფები: უილიამ დენიელსი (Panos Pictures), სტეფან დოკი, სეამუს მერფი (VII Agency), რემი ოშლიკი, ალესიო რომენცი, მანი, უცნობი სირიელი ფოტოგრაფები.
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11
ფოტო-გამოფენა "კავკასია: მე-19 საუკუნის პორტრეტები". გამოფენა იმართება თბილისის ფოტო-ფესტივალის ფარგლებში. -
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)
თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი - "Puncum Contra Puncum" -
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)
შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
გუდიაშვილის ქ. 1, ტელ: 299-71-76
გოგა ჯაფარიძის გამოფენა - "ნებროთის წიგნი" -
(მუზეუმი ღიაა ყოველდღე, ორშაბათის გარდა 11:00 - 18:00)
თინათინ თუმანიშვილის სახელობის თბილისის თოჯინების მუზეუმი
შავთელის ქ. 17ა, ტელ: 299-53-37, 299-65-11, 539 220-444
"ახალი გალერეა" გიწვევთ ცისანა ბაღდავაძის გამოფენაზე. 16 ივნისს 18:00 საათზე გამოფენის გახსნა.
ექსპოზიცია მოეწყობა 15 ივნისს.
"ახალი გალერეა"
ბესიკის ქ. 26. ტელ: 2922-699
გამოფენა "თვითმფრინავი" - ავტორები: ტონინო გუერა, ალბერტ დილბარიანი, ვატი დავითაშვილი, რეზო გაბრიაძე, თაზო ხუციშვილი, უშანგი ხუმარაშვილი, გია ხუციშვილი, ლევან ხარანაული და სხვები - (ფერწერა, გრაფიკა)
გალერეა "ვერნისაჟი"
ძმები ზუბალაშვილების ქ. 7, ტელ: 299-88-08

კროსვორდები



		5					2	
		6	7		9			
						4	5	
7			4		3			9
2								
	6		9					8
	8		6	7		1		
5	7			2				

					1			
	2				9			
	9		6					8
				2	3		4	
	4			7				
1		6				5	3	
5	8	7				6		
9				5	4	1		
						8		

7	D	9	0				1						8	
			C		7			6				5	D	1
				0			6					C		
	A				9			3	2	4	5			
						9		1			C			
					A	3		5	D			7		B
5	2			E		7			B					
	B						8				F	9	1	6	2
				F	E		9			8		D			
	9		8	A	3		C		F	B			4		
	6	4	5	8				9				2	3	7	
	C	3						4	1		6				
8			7							E		C		0	
E			D		5			2	0	3	1				
		1			F		A				7		6	5	8
2			6								4				F

"არტგენის" ცხელი ივლისი

ფესტივალი კახეთიდან დაიწყება და ინგლისური ბენდის კონცერტით დასრულდება

პირველი გვერდიდან

ქვემოთ სწორედ "არტგენის" პროგრამას გაგაცნობთ.

როგორც გითხარით, წელს "არტგენის" პირველი გაჩერება კახეთი, კერძოდ ყვარელში მდებარე ილიას ტბის ტერიტორიაზეა, სამი დღის შემდეგ ფესტივალს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი უმასპინძლებს, 8 ივლისს "არტგენის" მატარებელი წყალტუბოში შეივლის, ორ დღეში კი მისი კურსი გურიისკენ, ჩოხატაურის გორაბერეჟოულის ტყეპარკისკენ გაგრძელდება. წლევანდელი ფესტივალის რეგიონალურ ტურნეს მალთაყვას ტყეპარკში გამართული ღონისძიებები დაასრულებს.

ვინც არტგენის" ბიოგრაფიას ადევნებს თვალს, ისიც ემახსოვრება, რომ ცხრაწლიანი ისტორიის მქონე ფესტივალი თბილისის ფარგლებს გარეთ რამდენიმე წლის წინ გავიდა - აღმოჩნდა, რომ იმ კუთხეებს, რომლებიც ჩვენი ფოლკლორის პატარ-პატარა სამშობლოებად მიიჩნევა, დედაქალაქზე არანაკლებად სჭირდება მისი სცენიდან მოსმენა. ასეც ხდება - საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთს ჯერ ხელოვნების გზით ეცნობა, შემდეგ კი ყველა ერთად თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმისკენ მოემართება. თბილისის საფესტივალო დღეების პროგრამის პირველი ნაწილი სწორედ მათ ეთბობა: 21 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით ფესტივალის სტუმრების წინაშე წარსდგებიან ფოლკლორული კოლექტივები და სახალხო რეწვის წარმომადგენლები გურიიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, რაჭიდან, ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, აჭარიდან, ქვემო და შიდა ქართლიდან, მცხეთა-თიანეთიდან, იმერეთიდან, ლეჩხუმიდან, თუშეთიდან, სვანეთიდან და პანკისიდან.

საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსულთა ღონისძიებები საღამოს 7 საათიდან დაიწყება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეთნოგრაფიული კარი ამ დრომდე ჩარაზულია. ტრადიციისამებრ "არტგენი" მთელი დღის განმავლობაში მუშაობს და თავისუფლად შეგეძლებათ დაათვალიეროთ და შეიძინოთ ხალხური რეწვის ოსტატების მიერ დამზადებული საოჯახო ნივთები, სუვენირები და იმპროვიზებული კონცერტების მოწმენიც გახდეთ.

იმპროვიზებულს კი მალე ნამდვილი მოჰყვება. წელს ამ მხრივ "არტგენი" საკმაოდ მრავალფეროვანი და, როგორც უკვე გითხარით, ეგზოტიკურია. 21 ივლისს ქართული "ხიდის" შემდეგ სცენაზე აფრიკიდან, კერძოდ მალიდან ჩამოსული მუსიკოსები გამოვლენ და ჯგუფ Abou Diarra-ას სახელით ამ კონტინენტისთვის დამახასიათებელ მუსიკას შეგვისრულებენ. მომდევნო დღეს ხალხური ანსამბლების შემდეგ ჯგუფი "თაღლაურა" იმღერებს, ხოლო ლიტვური Aisva-ს ჯერი სწორედ ამის შემდეგ დადგება. წესით, ძალიან საინტერესო უნდა იყოს ფრანგ აკორდეონისტ რენე ლაკაის მოსმენა, რომლის მუსიკაც თურმე წარმატებით აერთიანებს აკორდეონზე დაკვრის თანამედროვე და ტრადიციულ ხელოვნებას. 24 ივლისს, მას შემდეგ, რაც სცენაზე პოლონური ფოლკბენდი Volosi ტერიტორიას დატოვებს, მის ადგილს ჯგუფი "33ა" დაიკავებს, რათა ესტაფეთა შემდეგი დღის მონაწილეებს - ქართულ "რეგიონსა" და მადაგასკარულ Kilema-ს გადასცეს. ფესტივალის პროგრამაში 26 ივლისით დათარიღებულ დღეს კიდევ ერთ პოლონური ბენდი, Tekla Klebetnica განაგრძობს, ამის შემდეგ კი სცენა ზუმბას დაუთმობენ. ცხადია, "არტგენი" ვერ ჩაივლის ნინო ქათამაძისა და "სუხიშვილების" გარეშე, რომელთა კონცერტებზე დასწრებაც 27 და 28 ივლისს შეგეძლებათ, ხოლო ინგლისურ ინდიჯგუფ Speed Caravan-ს ფესტივალის დახურვის პატივი ერგო.

სანათას პოეტურ-ქალური ფენომენი

ბელა ჩეკურიშვილი

მაგალითს რომ დიდი ძალა აქვს, ამის სათქმელად ფსიქოლოგები და იურისტები არ გვჭირდება, ყოველდღიური ცხოვრება თავისთავად გვარწმუნებს. ხოლო როცა პრეცედენტი შედგება, ნებისმიერ სფეროში ის ერთდროულად კიდეც გვამხნევებს და კიდეც გვაავადებს. დაალოებით ამგვარი რაღაცა მოხდა ქართულ მწერლობაში, როცა აკა მორჩილაძემ რომანი ყუთში ჩადო და ისე შემოგვთავაზა წასაკითხად. მერე ჩანთაში ჩადებული წიგნებიც გამოჩნდა და თავიდან თუ ეს მავანთ მორჩილაძის ნიუჰაუ ეგონათ, მერე მიხვდნენ, რომ მსგავსი ფორმატები სავსებით მიღებული ფორმა ყოფილა ჯერ კიდევ დასავლეთში და ჯერ კიდევ ათწლეულების წინ.

ასე მოხდა თუ ისე, ბოლო წლებში თანდათან გამოჩნდა წიგნი-ყუთები, წიგნი-სკივრები, წიგნი - ბოღჩები, წიგნი-თეფშებიც კი. ამ ყველაფერს არტის სახე აქვს, ჯერჯერობით საინტერესოა და აკადამიურ გამოცემებს მიჩვეული მკითხველიც აღარ აპროტესტებს.

რამდენიმე დღის წინ ნოდარ დუმბაძის თეატრში თავმოყრილმა პოეზიის მოყვარულებს მარიამ ხუცურაულმა მორიგი ყუთი - "სანათა" შესთავაზა, სადაც სამი კრებული იდო - "სანათას სახლი", "სანათას სკივრი" და "სანათას წიგნი".

სანათა - მარიამ ხუცურაულის ლირიკული "მე" - ზოგადად ქართველი ქალის სახე-სიმბოლოა, რომელიც ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველამ შემოიყვანა. სანათას ფენომენის გასააზრებლად ვაჟა-ფშაველას "ბახტრიონი" უნდა გავიხსენოთ - ქალი, რომელიც, ფაქტობრივად, აკრძალულსა და შეუძლებელს ახერხებს. ახერხებს დარჩეს პიროვნებად, ქალად, სრულად რეალიზდეს. სანათა დღესაც აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში, ეს ფენომენი დღემდე ცოცხლობს, მეტიც, თუ რამ ჯანსაღია და კარგი ჩვენში - ქალში, ეს სანათაა.

"როცა დღევანდელი დახეულ-ჯინსებიანი გოგოები, რომელთაც თითქოს არ ადარდებთ ძველი ტრადიციები, მეკითხებიან, სანათა რატომ გქვიაო და ამაზე ფიქრს იწყებენ, ეს უკვე ერის გადარჩენად მიმაჩნია. ეს ქალი ყველაზე მეტად მისაბაძია დღეს - როცა ქალები საკუთარი თავის რეალიზებას ვცდილობთ. როცა 2009 წელს პირველი კრებული გამოვიდა, სპონტანურად დავარქვი ეს სახელი. არ მიფიქრია, ეს წიგნის გარშემო ხმაურს თუ გამოიწვევდა, არც კომეციული გათვლა გვქონია. მაგრამ რეზონანსი გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი" - ამბობს მარიამ ხუცურაული.

თუმცა კი, სანათას ფენომენი დღემდე არ არის ბოლომდე გააზრებული, ზოგისთვის ის ფშავლის ქალად რჩება, ვაჟას პოემის გმირად.

"სანათას" წიგნების მხატრობა ლევან ხარანაულს ეკუთვნის, მისივე ნახატის ფონი ადევს ყუთსაც, სადაც ისინია მოთავსებული. გამომცემელ ვაჟა წოწკოლაურის იდეით კი მუყაოს ყუთი ძველი კანაფის თოკით შეიკერა. ამ ყუთმა ითავა ფუნქცია ყოფილიყო სკივრიც და სახლიც - რის შესახებაც პოეტი ქალი თავის ლექსებსა და მინიატურებში გვიყვება. კრებულებში თავმოყრილია სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები და პროზაული მინიატურები. კრებულთა სახელწოდებები და თვითონ ყუთიც, გარდა პოეტური არიტისა, ერთგვარი მინიშნებაცაა იმაზე, როგორ შეიძლება მოახერხოს ქალმა -პოეტმა საკუთარი თავის განხორციელება - იყოს ოჯახის დედა, იურისტი, არასამთავრობო კავშირის "ჩვენი ფშავის" ერთ-ერთი მოთავე, პოეტური კონკურსის - "ხვარამზეობის" დამაარსებელი და ამავე პოეზიის სკივრიდან საკუთარი ამბების ამომლაგებელი.

მარიამ ხუცურაულის მთავარი ამბავი და სათქმელი კი, როგორც ადამიანის, ქალის, საზოგადოების ერთ-ერთი წევრის საწუხარია იმაზე, რომ ადამიანები იშვიათად არიან საჭირო დროს საჭირო ადგილზე, ობიექტური მიზეზების გამო და რომ ამ ადგილზე ხშირად სრულიად სხვა ადამიანებს ვხვდებით, რომ არ არის ინდივიდების ერთიანობა, რომლებიც გათითოკაცებულები ვეღარ ქაჩავენ იმ საქმეს, რაზედაც გული შესტკივათ. მკითხველი არ მინდა დაიბნეს და ეგონოს, რომ ამ წიგნების გადაშლისას პარტიოტული ლირიკის ცეცხლში მოუწევს გადაშვება, საუკუნეების მანძილზე რომ ალმურით სწვავს ქართულ პოეზიას. მარიამ ხუცურაულთან სათქმელი ისეთივე ფერადოვან ხალიჩად ქცეულა, როგორც ფშაური ფარდაგია, ფშაური მდელოები და რაც მთავარია, ზეპირსიტყვიერება - გამორჩეულად ლაღი და მსუბუქი.

დელ ბოსკემ კონტრაქტი გააგრძელა

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გააგრძელა და ესპანეთის ნაკრებში 2014 წლამდე იმუშავებს.

ორი კვირის წინ დელ ბოსკემ განაცხადა, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმება მიღწეულია, თუმცა, ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერას არ ჩქარობდა. "ფურია როხას" თავკაცმა კონტრაქტს უკრაინა-პოლონეთში მიმდინარე ევროპის პირველობაზე მოაწერა ხელი.

შიშველი ფეხბურთი - დანიამ გერმანია გაანადგურა

შაბათს, 16 ივნისს, ბერლინში, დანიის ნაკრებმა გერმანიის ნაკრები ანგარიშით 13:1 დაამარცხა. ეს არ იყო ევროპის პირველობის მატჩი. ეს გახლდათ გერმანელი და დანიელი პორნოვარსკვლავების საფეხბურთო დაპირისპირება.

არც ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ტრადიციისამებრ, გერმანიის ნაკრების მნიშვნელოვანი მატჩების წინ გერმანელი პორნოვარსკვლავები საფეხბურთო სპარინგზე იწვევენ კოლეგებს იმ ქვეყნიდან, რომლის ნაკრებსაც ბუნდესგუნდი ხვდება. ტრადიცია არ ამჯერად დაირღვა: გერმანია-დანიის მატჩის წინ ფეხბურთში პორნოვარსკვლავებმა მოსინჯეს ძალა. ანგარიშიდან ჩანს, რომ სექსუალური ინდუსტრიის დანიელი წარმომადგენლები ფეხბურთს გაცილებით უკეთ თამაშობენ, ვიდრე გერმანელები.

ჩავი: "იტალია მეოთხედფინალში ითამაშებს"

ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის, ჩავის აზრით, ევროპის პირველობის მეოთხედფინალში ესპანეთისა და იტალიის ნაკრები გუნდები გავლენ.

"იტალია მეოთხედფინალში გავა. ესპანური მენტალიტეტი არ მოგვცემს იმის უფლებას, რომ ფრეზე ვითამაშოთ. ჩვენ არ ვართ შეჩვეული მატჩების ფრედ - 2:2-ით დასრულებას. ჩვენ ყველა შეხვედრაში მოგებაზე ვთამაშობთ. მიმაჩნია, რომ მიმდინარე ჩემპიონატზე ყველაზე კარგი ფეხბურთი ჩვენ და იტალიელებმა ვაჩვენეთ. იტალიის დღევანდელი ნაკრები იმ გუნდს მაგონებს, რომელმაც 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო", - ამბობს ჩავი.

რუსეთის დუმის წევრმა არშავინს შეუტია

უკრაინული გამოცემის, Sport.ua-ს ინფორმაციით, რუსულ გაზეთ "სოვეტსკი სპორტის" ჟურნალისტი ალექსანდრ ზილბერტი რუსეთის ნაკრების სასტუმროში უსიამოვნო სცენის მოწმე გახდა.

"თამაშის შემდეგ, რამდენიმე საათში, შემთხვევით, ამაზრზენი ეპიზოდის მოწმე გავხდი. მთვრალი, ურცხვი და საკმაოდ შეძლებული გულშემატკივრები (სხვებს ასეთ სასტუმროში ცხოვრება არ შეუძლიათ - აქ ხომ ნომერი 600 ევრო ღირს) შეურაცხყოფას აყენებდნენ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებს. როგორც ჩანს, ეს გულშემატკივრები რუსეთის ელიტურ ფენას ეკუთვნოდნენ (ერთ-ერთი მათგანი რუსეთის დუმის დეპუტატის საბუთს იქნევდა), რადგან ადგილზე მყოფი ნაკრების დაცვის სამსახური მათ შეჩერებას არც კი შეეცადა. ბოლოს არშავინს და შარონოვს თავად მოუხდათ საკუთარი ღირსების დაცვა. სულ ცოტაც და, გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს შორის მუშტი-კრივიც გაიმართებოდა.

დავით ილარიანმა მძლეოსნობაში ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა

ბულგარეთში, ქალაქ სლივენში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე დავით ილარიანმა 110 მეტრი თარჯებით 13.58 წამში გაირბინა და ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივი (13.60) შეასრულა.

ქართველი მძლეოსნებისთვის ეს მეოთხე საგზურია ოლიმპიურ თამაშებზე - მაია გოგოლაძის, ბოლესლავ სხირტლაძისა (ორივე - სიგრძეზე ხტომა) და მასიეუ როსიევიჩის (სპორტული სიარული) შემდეგ. ივნისის ბოლოს

ქართველი მძლეოსნები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატზე ჰელსინკში, სადაც 25 ივნისიდან მაია გოგოლაძე, ბოლესლავ სხირტლაძე, დავით ილარიანი და სალომე რიგიშვილი (ბადრო) იასპარეზებენ.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში უკვე 32 სპორტსმენია.

ტომი ჰაასმა ფინალში როჯერ ფედერერს მოუგო

ტომი ჰაასი ძველი გენერაციის კარგი ბიჭია. გერმანელი ადრე რეიტინგის მეორე ნომერი იყო და დღეს, ძირითადად, ინერციით გადის ტურნირებზე. გერმანელი კარიერაში მეორედ იგებს ჰალეს ფინალს. ბოლო მატჩში ტომიმ მისტერ ჩოგბურთი, როჯერ ფედერერი გააჩერა - 7:6 (5), 6:4. ფედერერი ჰალეს ხუთგზის ჩემპიონია. ჰაასმა ტურნირი ორი წლის წინ მოიგო. მაშინ ლოკალურმა ფავორიტმა ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:3, 6:7 (4), 6:1 დაამარცხა და მერე უიმბლდონის ნახევარფინალშიც დაჯდა.

ჰაასმა კარიერაში მეცამეტე ტურნირი მოიგო. ტომის ფენომენალური სერია აქვს -ზედიზედ მერვე ფინალი აიღო ერთეულებში. ბოლო სატიტულო გარჩევა ტომიმ 10 წლის წინ, რომში, ანდრე აგასისთან დატოვა. 34 წლის ჰაასმა სეზონი პირველი ორასეულის გარეთ დაიწყო და ჰალეს ტურნირამდე 87-ე იყო. რეიტინგი გაუმჯობესდება. ჰალემდე ჰაასი მიუნხენის ნახევარფინალშიც შევიდა და იქ მარინ ჩილიჩთან წააგო. ფედერერთან ტომის ცხრათამაშიანი მოუგებელი სერია ჰქონდა. სერია დამთავრდა. ჰაასი გრძელდება.

ჩეხეთი და საბერძნეთი - მეოთხედფინალში, რუსეთი - სახლში

შაბათს ევრო 2012-ის პირველი მეოთხედფინალისტების ვინაობა გაირკვა. ასეთ შედეგს არავინ ელოდა. ტურნირის მასპინძელი პოლონეთის ნაკრები და ჯგუფის ფავორიტი რუსეთი ევრო 2012-ს დაემშვიდობნენ. ჩეხეთი და საბერძნეთი კი შემდეგ ეტაპზე გააგრძელებენ თამაშს.

ჩეხების მეოთხედფინალში გასვლა დიდი მოულოდნელობა არ არის. ამ ჯგუფის მთავარი სიურპრიზი რუსეთის ნაკრების მარცხია.

საქმე ის არის, რომ ორი ტურის შემდეგ რუსეთის ნაკრები თითქმის მეოთხედფინალისტი იყო. გადამწყვეტ, მესამე ტურში რუსებს ბერძნებთან მატჩში ფრეც ხელს აძლევდათ. მეტიც, თუ ჩეხეთ-პოლონეთის თამაში ფრედ დასრულდებოდა, რუსები ბერძნებთან დამარცხების შემთხვევაშიც კი შემდეგ ეტაპზე გავიდოდნენ, მაგრამ, ცხადია, ნებისმიერი თავმოყვარე გუნდი, პირველ რიგში, თავის თავზე უნდა იყოს დამოკიდებული - აეღოთ რუსებს ერთი ქულა ბერძნებთან და დღეს მეოთხედფინალზე იფიქრებდნენ.

რუსეთის ნაკრებმა ამ ტურნირზე წარუმატებლად ითამაშა. დიკ ადვოკაატის შეგირდები მატჩიდან მატჩამდე, მეტიც, ტაიმიდან ტაიმამდე აუარესებდნენ თამაშს. მათ ტურნირი ჩეხეთის ნაკრებთან ჩატარებული იდეალური პირველი ტაიმით დაიწყეს და ბერძნებთან მატჩის სრულიად უსახური მეორე ტაიმით დაასრულეს.

კარაგუნისის გოლი

მართალია, თამაშის შემდეგ დიკ ადვოკაატმა თქვა, ჩემი გუნდი ბერძნებთან მატჩში ურიგოდ არ გამოიყურებოდაო, მაგრამ ეს სირაქლემას პოზა და რეალობიდან გაქცევაა. რუსებმა ბერძნებთან შეხვედრაში თავისი პოტენციალის ნახევარიც ვერ გამოავლინეს.

მატჩის პირველი ათი წუთი რუსებს, უბრალოდ, ეძინათ, შემდეგ გამოცოცხლდნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს სიფაკისის კართან და ჩათვალეს, რომ საქმე გაკეთებულია - 0:0 ხომ რუსეთის ნაკრებს აძლევდა ხელს, მით უფრო, რომ პარალელურად მიმდინარე მატჩშიც ანალოგიური ანგარიში იყო. პირველი ტაიმის მიწურულს რუსებმა გოლი გაუშვეს და ეს მცველების უხეში შეცდომის შედეგია. მეორე ტაიმის პირველი 25 წუთის განმავლობაში ბერძნები თავსაც კარგად იცავდნენ და კონტრშეტევებიც სახიფათო ჰქონდათ. 2004 წლის ევროპის ჩემპიონებს გოლის გატანაც შეეძლოთ. ბოლო 15 წუთის განმავლობაში კი საბერძნეთის ნაკრები ბურთის მოგერიებაზე გადავიდა და ესეც კი კარგად გამოუვიდა.

რაც შეეხება პარალელურად მიმდინარე მატჩს, მას შემდეგ, რაც საბერძნეთ-რუსეთის მატჩში ბერძნებმა გოლი გაიტანეს, მეოთხედფინალში გასასვლელად ჩეხებს თამაშის მოგება სჭირდებოდათ. ჩეხეთის ნაკრებს დაბალანსებული შემადგენლობა აქვს, პოლონეთის ნაკრებში კი სამი მაღალი კლასის ფეხბურთელია (პიშჩეკი, ლევანდოვსკი და ბლაშჩიკოვსკი), დანარჩენი კი საშუალომდეც ვერ ქაჩავს. ამიტომ თამაშს სწორედ ჩეხები აკონტროლებდნენ. სანამ პარალელურად მიმდინარე მატჩში ანგარიში საყაიმო იყო, ჩეხებს ფრეც ხელს აძლევდათ. მას შემდეგ, რაც გოლი ბერძნებმა გაიტანეს, ჩეხებმა ტემპს უმატეს და საჭირო გოლიც შეაგდეს.

ამრიგად, A ჯგუფში პირველ ადგილზე ჩეხეთის ნაკრები გავიდა, მორეზე კი - საბერძნეთის. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, ზედიზედ მესამე დიდი ტურნირია, რაც მეოთხედფინალში მასპინძელი არ ითამაშებს. შვეიცარია-ავსტრიის ევროპის ჩემპიონატზე ვერც ერთი მასპინძელი ვერ გავიდა მეოთხედფინალში. სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე "ბაფანა ბაფანა" ჯგუფში ჩარჩა. ევრო 2012-ს პოლონეთი უკვე დაემშვიდობა, უკრაინას კი მეოთხედფინალში გასვლის მცირე შანსი აქვს - ოლეგ ბლოხინის გუნდს ბოლო ტურში ინგლისის ნაკრების დამარცხება მართებს. ეს კი ძალიან ძნელი იქნება.

ევრო 2012.

ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი

ვროცლავი. მუნიციპალი

ჩეხეთი - პოლონეთი 1:0

გოლი: 1:0 იარაჩეკი (72)

ვარშავა. ნაციონალური სტადიონი

საბერძნეთი - რუსეთი 1:0

გოლი: 1:0 კარაგუნისი (45)

1.ჩეხეთი	3	2	0	1	4:5	6
2.საბერძნეთი	3	1	1	1	3:3	4
3.რუსეთი	3	1	1	1	5:3	4
4.პოლონეთი	3	0	2	1	2:3	2

გეორგიოს კარაგუნისი: "ბერძნებს არ ულხინთ, ჩვენ მათ ღიმილი ვაჩუქეთ"

რუსეთ-საბერძნეთის მატჩის გმირი, ვეტერანი ბერძენი ფეხბურთელი გეორგიოს კარაგუნისი ბერძნებისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს შეხვდა.

- რა ემოცია გაქვთ?

- დღეს, უბრალოდ, ჯადოსნური საღამოა.

- წარმატების თუ გჯერდათ?

- როდესაც ათენიდან მოვფრინავდით, გულშემატკივრებს დავპირდით, რომ, მიუხედავად ყველა იმ პრობლემისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეექმნა, შევეცდებოდით ფლეი-ოფში გასვლას.

- მსაჯობაზე რას იტყვით?

- ვფიქრობ, ჩემი წაქცევისთვის პენალტი უნდა დაენიშნათ, ამის ნაცვლად კი ყვითელი მიჩვენს. თუმცა, ამაზე საუბარი აღარ ღირს. ძალიან ბედნიერი ვარ.

- მსაჯების შეცდომები შემთხვევითობაა?

- თავადაც ხედავთ, რომ ასეთი რამ პირველივე თამაშიდან ხდება. წესით, შვიდი ქულა უნდა გვქონოდა, მაგრამ ორი გოლი არ ჩაგვითვალეს და პენალტიც არ დაგვინიშნეს. უეფამ უნდა ნახოს ამ ეპიზოდების ვიდეოჩანაწერები. მსაჯები ჩვენ წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედებდნენ.

- უკვე გჯერათ იმის, რაც მოხდა?

- არ შემიძლია გადმოგცეთ, თუ რას ვგრძნობ. თითქოს ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ იყო და მაინც ფლეი-ოფში ვითამაშებთ.

- ახლა უკვე რეკორდსმენიც ხართ საბერძნეთის ნაკრებში გამართული მატჩების მხრივ.

- 122 მატჩი ეროვნულ ნაკრებში... ეს წარმოუდგენელია.

- და მაინც, როგორ მოახერხეთ გამარჯვება?

- ჩემი აზრით, გადამწყვეტი როლი შეასრულა ბრძოლის ჟინმა. ჩვენ უფრო მეტად გვინდოდა მოგება. ჩეხებთან მატჩის შემდეგ ვარშავაში დავბრუნდით და გავიგეთ, რომ რუსებმა პოლონეთთან ფრედ ითამაშეს. მივხვდით, რომ ეს ჩვენი შანსი იყო.

- ეს გამარჯვება თქვენს ქვეყანაში ცხოვრებას თუ შეამსუბუქებს?

- ბერძნებს არ ულხინთ, ჩვენ მათ ღიმილი ვაჩუქეთ. ჩვენ დავიმსახურეთ მეოთხედფინალში გასვლა. თუმცა, მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორ მივაღწიეთ ამას. უამრავი ბარიერი გადავლახეთ.

- როგორ გგონიათ, დღევანდელ ნაკრებს შესწევს იმის ძალა, რომ 2004 წლის ტრიუმფი გაიმეოროს?

- ამჯერად ფლეი-ოფში გასვლა 2004 წელს მოგებული ტიტულის ტოლფასია.

რუსები დააკავეს, მერე კი გაათავისუფლეს

გიგა გურასაშვილი

ვარშავის პოლიციის პრესმდივნის, მაჩეი კარჩინსკის ცნობით, პოლონელმა სამართალდამცავებმა შაბათს ქვეყნის დედაქალაქში 70-ზე მეტი რუსი დააკავეს, დღეს დილით კი თითქმის ყველა გაათავისუფლეს. ერთი ნაწილი პოლიციისთვის ინფორმაციის დამალვისა და მათი შეცდომაში შეყვანისთვის დაჯარიმეს.

ევრო 2012-ის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში რუსეთის ნაკრები საბერძნეთთან 0:1 დამარცხდა, ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალის საგზური დაკარგა. რუსების ბედი გაიზიარეს მასპინძელმა პოლონელებმაც.

"მატჩამდე გულშემატკივართა ზონის რაიონში 41 კაცი დააკავეს, 31 კი - ეროვნული სტადიონის სიახლოვეს. საუბარია რუსებზე", - ამბობს კარჩინსკი და იქვე დასძენს, რომ დაკავებულები ქუჩებში დადიოდნენ კაპიუშონებით, ზოგიერთ მათგანს ულვაშები ჰქონდა მიწებებული, სავარაუდოდ, კონსპირაციის მიზნით.

ზოგიერთ დაკავებულს თან ჰქონია მშენებლობისთვის განკუთვნილი ბამბის ხელთათმანები, პეტარდები და მოკრივის კაპი (პირის ღრუს დამცავი საშუალება, რომელიც კბილებზე მაგრდება).

ერთ-ერთი დაკავებული ჯერ კიდევ პატიმრობაშია, რადგან პოლიციას მისი საბუთების სისწორეში ეპარება ეჭვი. კიდევ ერთი რუსია დაკავებული სტადიონზე პეტარდის გამოყენებისთვის. დანარჩენი მრავალრიცხოვანი დაკავების მიზეზი კი სიმთვრალეში ატეხილი ჩხუბია.

რუსეთ-საბერძნეთის მატჩის დროს ინციდენტი არ მომხდარა. ვარშავის ქუჩებში პატრულირებდა 7 ათასი პოლიციელი და მუნიციპალური დაცვის სამსახურის რამდენიმე ასეული თანამშრომელი.

რუსეთ-საბერძნეთის მატჩის შემდეგ მოსკოვში რვა გულშემატკივარი დააკავეს, სამარაში კი, წაგებით გაბრაზებულმა რუსებმა, კაფე გადაწვეს.

პირველი ტესტი წავაგეთ

პირველი გვერდიდან

ამის მიუხედავად, ჩვენმა მორაგბეებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და მეორე ნახევარში მასპინძლებს აჯობეს კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა.

ქართველმა მორაგბეებმა მატჩის დებიუტი ჩააგდეს. ამერიკელებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს და ეს უპირატესობა ქართველმა მორაგბეებმა, მეორე ნახევარში ვეღარ გააბათილეს. აშშ-ის ნაკრები სისწრაფეშიც გვჯობდა და უნარიანადაც ათამაშებდა ბურთს ხაზზე. საპირისპიროდ, ქართველებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. საილუსტრაციოდ გამოდგება ესპანეთთან, ერთა თასზე ერთადერთი წაგებული მატჩი. თუ ამ თამაშს გავიხსენებთ, პირველი ტაიმის სცენარი ანალოგიური იყო. ბორჯღალოსნებს ბურთი ხელიდან უვარდებოდათ, აგებდნენ საკუთარ დერეფანს, გაშლილ თამაშში კი პოზიციაზე ასვლას ვერ ასწრებდნენ და ამ შეცდომებით ამერიკელები კარგად სარგებლობდნენ. შესაბამისად, პირველ ტაიმში სამი ლელო მივიღეთ და 20 ქულის სხვაობით დავმარცხდით.

მეორე ნახევარში ჰეიგმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა და საქართველოს ნაკრებმა ღირსებისთვის თამაში დაიწყო. მატჩის ბოლომდე მასპინძლებს შარიქაძემ და კაჭარავამ ორი ლელო აგემეს და ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, თუმცა, მსაჯის მიერ დამატებულ დროში ჩვენებურებს პატერსონის გარღვევა გამოეპარათ და ამერიკელებმა მეოთხე ლელოთი წერტილი დაუსვეს თამაშს.

მომდევნო მატჩს ბორჯღალოსნები 24 ივნისს კანადაში, ამ ქვეყნის ნაკრებთან გამართავენ და ამით დასრულდება ჩრდილოამერიკული ტურნე. კანადის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს მერაბ შარიქაძე, რომელიც სოლტ-ლეიკ-სიტიში საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრებს მსოფლიო ალაფაზე სათამაშოდ შეუერთდება. შემოდგომიდან კი, როგორც რაგბის კავშირისა და ნაკრების ხელმძღვანელობა გვპირდება, საქართველოს ნაკრები ყველა შეხვედრას მხოლოდ უძლიერესი შემადგენლობით ჩაატარებს და 2015 წლის მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებას შეეცდება.

"ინფინიტი პარკ". გლენდეილი. დენვერი (კოლორადო)

აშშ - საქართველო 36:20 (28:8)

აშშ: 15. კრის უაილზი, 14. ლუკ ჰიუმი, 13. პოლ ემერიკი (კოლინ ჰოლი 43), 12. ენდრიუ სუნიულა, 11. ჯეიმს პატერსონი, 10. როლანდ სუნიულა (უილ ჰოულდერი 78), 9. მაიკ პეთრი (შონ დევისი 78); 1. შონ პიტმენი, 2. კრის ბილერი (დერიკ ესბანი 72), 3. ერიკ ფრაი (ტოლიფილი ლიუფაუ 75), 4. ლუი სტენფილი, 5. ბრაიან დოილი, 6. ტეილორ მოქეითი (ებდრიუ დურუტალო 48), 7. სკოტ ლავალა, 8. ტოდ კლეევერი.

4 ლელო: ე. სუნიულა, მოქეითი, პეთრი, პატერსონი

2 გარდასახვა: უაილზი

4 ჯარიმა: უაილზი

საქართველო: 15. ლაშა ხმალაძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. სანდრო თოდუა (22. ირაკლი ყიასაშვილი 52), 10. მერაბ კვირიკაშვილი (21. ლაშა მალაღურაძე 45), 9. ირაკლი აბუსერიძე (20. გიორგი ბეგაძე 72); 1. მიხეილ ნარიაშვილი (17. ირაკლი მირცხულავა 72), 2. რევაზ ბელქანია (16. შალვა მამუკაშვილი 58), 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ბექა ბიწაძე, 5. ვახტანგ მაისურაძე (18. ზვიად მაისურაძე 41), 6. გია ლაბაძე, 7. გივი ბერიშვილი (19. გიორგი თხილაიშვილი 51), 8. გიორგი ჩხაიძე.

3 ლელო: კვირიკაშვილი, შარიქაძე, კაჭარავა

1 გარდასახვა: მალაღურაძე

1 ჯარიმა: კვირიკაშვილი

2 სინბინი: ბერიშვილი, ზ. მაისურაძე

რეფერი: მორის იონკერი (სამხრეთ აფრიკა)

გაიტანეთ ეს ჰოლანდია

პირველი გვერდიდან

კრონ-დელიმ ევროპის ჩემპიონატზე მეორე გოლი გაიტანა

დანიამ ტურნირი ნორმალურად დაამთავრა. კრონ-დელიმ პირველ ტაიმში მისტერ ბენდტნერისგან თავით მიიღო ბურთი, თავით შეუცვალა მიმართულება და გერმანიას გოლი გაუკვირდა. გერმანია ათი წუთით ჩამოჯდა, გადახედა სიტუაციას და თავიდან აკრიფა. დანიას ერთი თამაში ორჯერ უნდა მოეგო. ორჯერ გერმანიასთან მოგება რთულია. ჰერ ლიოვის გუნდი სტაბილურობასთან მეგობრობს და გერმანია დანიასთან ვერ წააგებდა. უბრალოდ, ეს გერმანია წაგებაზე უკეთესია. ყოველ შემთხვევაში, დანიასთან წაგებაზე უკეთესი. ლიოვმა კიდევ ერთი ფლეში გაშალა.

ჰოლანდიაში ცუდი სიტუაცია იყო. ბერტ ვან მარვიკი ნორმალური მწვრთნელია. ამ ნიჭით და ქარიზმით ჰოლანდიას დანია და პორტუგალია უნდა დაეშალა, გერმანიასთან პირველი ნომრით ეთამაშა და ბევრი ბონუსი დაესვა. ჰოლანდია იდგა და ვან მარვიკი არ რისკავდა. იყო რამდენიმე ტაქტიკური იაღლიშიც, მაგრამ რთულია არ ენდო ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეს, მისტერ ვან პერსის. რთულია არ ენდო სტაბილურ და ცოტა დაღლილ სნეიდერს. რთულია არ ენდო საკუთარ სიძეს (ვან ბომელს) და რთულია, პირველ თერთმეტ კაცში ოთხი ნომინალური ფორვარდი დააყენო. რთულია რაფაელ ვან დერ ვაარტის გარეშე. ვან მარვიკმა ბოლო ტესტში გარისკა, ნიჭიერი პერსონაჟი ეგრევე სასტარტოში შეაგდო და ვან დერ ვაარტი პიჟონების გუნდთან საუკეთესო იყო.

პორტუგალიამ თავისი გასაკეთებელი გააკეთა. კრიშტიანო რონალდუ ფლეიბოის როლში საინტერესოდ, ბუნებრივად შევიდა და პორტუგალიის პირველი პირი ჰოლანდიასთან პელე იყო. სწრაფი, მოტივირებული, მოქნილი, უკომპლექსო რონალდუ სხვა თემაა. ორი გოლი, სწრაფი აზროვნება, მესამე თვალი, ეუსებიოს ალღო - ეს ერთ კაცში, კრიშტიანოში იყო და პორტუგალიამ მოსაგები მოიგო.

დანიამ გაქაჩა ჰოლანდიასთან და სიმონ კიაერი ნაკრებში ბევრად სტაბილურია, ვიდრე - «რომაში». კიაერი, კრონ-დელი, რომედალი, სხვა ბიჭები მაქსიმუმს აკეთებენ და დანიის მაქსიმუმი გერმანიის მინიმუმზე ცოტაა. იქ იოზილი ერთი მაგარი პასით ნახევარ დანიას ჭრის. იქ სამი ხედირა ერთი მოძრაობით ორ კაცს აგდებს და ხედირა ბურთთან უფრო ძმაკაცობს, ახლოს არის, ვიდრე ჩვენ გვგონია. ხედირა დანიასთან ძალიან კარგი იყო. ლუკაშ პოდოლსკიმ ნაკრებში კიდევ ერთი პერსონალური პრეზენტი მიიღო. პერსონალური საჩუქარი, კარიერული სუვენირი საკუთარი თავისგან.

შემდეგ ეტაპზე ამ ჯგუფის გუნდები ფავორიტები არიან. გერმანია ჯგუფში პირველზე გადის და მეოთხედფინალში არიული მანქანა საბერძნეთს დაელაპარაკება. ფავორიტია პორტუგალიაც ჩეხეთთან. უბრალოდ, ჩეხეთზე უკეთესი გუნდია.

ვან მარვიკთან ჰოლანდია უკეთესი ვერ იქნება და ჰოლანდია უკეთესი უნდა გახდეს. იმიტომ, რომ ჰოლანდიაა. დანიაც დანიაა. რაც არის, ეგ არის. არასტაბილურ, მოძრავ და ერთფეროვან ხალხთან ერთად. კრიშტიანოს პორტუგალიამ მეტი დარიგება უნდა მოიგოს და გერმანია სულ გერმანია იქნება. ევროპაში ყველაზე სანდო, სტაბილური გუნდი, რომელიც არ დაგაღალატებს. იქ ეს, ღალატი არ მოსულა.

შემდეგ დონეზე გერმანია და პორტუგალია გადავიდნენ.

B ჯგუფი

დანია-**გერმანია** 1:2

გოლები: **0:1 პოდოლსკი** (19), **1:1 კრონ-დელი** (24), **1:2 ბენდერი** (80).

პორტუგალია-ჰოლანდია **2:1**

გოლები: **0:1 ვან დერ ვაარტი** (11), **1:1 რონალდუ** (28), **2:1 რონალდუ** (74).

ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მქონე ქართველი სპორტსმენები (17 ივნისის მონაცემები)

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
2. ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა)
3. მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
4. მალხაზ ზარქუა (თავისუფალი ჭიდაობა)
5. დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
6. დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
7. დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
8. გია მაჭავარიანი (ძალოსნობა)
9. რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა)
10. ირაკლი თურმანიძე (ძალოსნობა)
11. ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა)
12. მერაბ თურქაძე (კრივი)
13. ლადო ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
14. გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა)
15. ზურაბ დათუნაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
16. ამირან პაპინაშვილი (ძიუდო)
17. ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო)
18. ნუგზარ ტატალაშვილი (ძიუდო)
19. ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო)
20. ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო)
21. ირაკლი ცირეკიძე ან ლომერ ჟორჟოლიანი (ძიუდო)
22. ადამ ოქრუაშვილი (ძიუდო)
23. ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
24. სოსო ჯაბიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
25. რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
26. ვლადიმერ გეგეშიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
27. გურამ ფერსელიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
28. მარიამ გოგოლაძე (მძლეოსნობა)
29. ირაკლი ბოლქვაძე (ცურვა)
30. ბოლესლავ სხირტლაძე (მძლეოსნობა)
31. მასიეჟ როსიევიჩი (მძლეოსნობა)
32. დავით ილარიანი (მძლეოსნობა)

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური

მადრიდულ-მილანური გაცვლა

Corriere dello Sport-ის ინფორმაციით, მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას მართავს, რათა "სამეფო კლუბთან" არსებული კონტრაქტი ვადაზე ადრე გაწყვიტოს.

მადრიდულმა გრანდმა კაკა 2009 წელს 70 მილიონ ევროდ "მილანისგან" იყიდა და, როგორც ჩანს, კაკა სწორედ "მილანში" აპირებს დაბრუნებას. მის სანაცვლოდ მადრიდში გაემგზავრება ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელსაც "რეალის" თავკაცი ჟოზე მოურინიო კარგად იცნობს.

ბუენოს აირესის მსოფლიო თასი ორი ოქროს მედლით დაიწყო

რიო დე ჟანეიროს "დიდი სლემის" შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ავსტრიელმა მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა თავისი შეგირდები ბუენოს აირესის "მსოფლიო თასზე" წაიყვანა და შეჯიბრების პირველივე დღეს მედლები დაისაკუთრა. არგენტინული მსოფლიო თასი საქართველოს ნაკრებისთვის ასპროცენტიანი მაჩვენებლით დაიწყო.

ბუენოს აირესის "მსოფლიო თასის" პირველ დღეს მედლები გათამაშდა სამ წონით კატეგორიაში (60, 66, 73). პირველ ორ წონაში საქართველოს ნაკრები ორი ძიუდოისტით - ბეთქილ შუკვანითა (60 კგ.) და ლაშა შავდათუაშვილით (66 კგ.) იყო წარმოდგენილი და ორივემ ჩემპიონობამდე გაიკვალა გზა.

ბუენოს აირესის «მსოფლიო თასზე», როგორც მოსალოდნელი იყო, ბრაზილიურ «დიდ სლემთან» შედარებით, სუსტმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რამაც საქართველოს ნაკრების წევრებს გაუადვილა ასპარეზობა. ხვალ გამთენიისას გავლენ ტატამზე ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ.), ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ.) და ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ.), რომლებიც ალბათ შეძლებენ მედლების მოპოვებას.

90 წუთიანი ფოტოსესია "კიკალა სტუდიო"-სგან

59% ფასდაკლება

მხოლოდ Weekend-ის მკითხველებისთვის!



შეიძინე GROUPI.GE-ზე და მიიღე
90 წუთიანი ფოტოსესია "ჯიხვლა სტუდიო"-სგან
ნახადგიენთ ჯუჯრონი გაღახლის ქვითარითან ერთად

59% ფასდაკლება

195 ლარად!

59% ფასდაკლება

რუსული ენის ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების გამომცემლობა არტანუჯისაგან

მაია ლორთქიფანიძე
ირინე ჩხეიძე
თამარ ჩიმაკაძე



სამუშაო რვეულები სI–სVIII

ყველა სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი

აირჩიეთ გამომცემლობა არტანუჯის სახელმძღვანელოები

გამომცემლობა **არტანუჯი**. თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის 77.
ტელ.: 225 05 22, 2 91 22 83, 2 47 55 54, 236 87 48, 599 55 66 54, 599 74 36 72, 5 93 25 05 22. **www.artanuji.ge**